# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 ივნისი, 2009 წელი.

№ 106 (6207)


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## საპროტესტო ტალღის მეორე ეტაპი უფრო ხანმოკლე, უფრო აქტიური და უფრო ხიფათიანი იქნება... 4



## „რესპუბლიკის თავზე უღრუბლო ცაა“ 3

ამ წერილის სათაურად გამოყენებული ფრაზა ესპანეთის რადიოეთერში 1936 წელს გაისმა, რომელიც რესპუბლიკელთა რევოლუციური გამოსვლის ნიშანი გახლდათ.

საქართველოს თავზე, ჯერჯერობით, ნამდვილად არ არის „უღრუბლო ცა“, ამ სიტყვის არც რევოლუციური და არც მეტეოროლოგიური მნიშვნელობით.

## ლეიბორისტებმა საპრეზიდენტო დაზღვევის პროგრამა გააკრიტიკეს 2

ედუარდ შევარდნაძე:

## პუტინს ვარწმუნებდი, რომ ამერიკული ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნებოდა 2



## ბენდუქიძემ ახალ „ქერის ორმოს“ მიაგნო 5

ლარი მიმოქცევიდან ამოვარდება?



ნოდარ სარჯველაძე:

## ხელისუფლებამ ოპოზიციას შეუტია და მკვეთრად დაადასტურა, რომ არსად წამსვლელი არ არის 5



## „წარუმატებელ ბუნტს რუსეთში მცხოვრები ოლიგარქი აფინანსებდა“ 8




ზურაბ აბაშიძე:

## ახლა ბურთი ხელისუფლების მოედანზეა 3



### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

**აკაკი მინაშვილი:**

(საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე).

— სუყველა ნაციონალს ისეთი სიდედრი რომ ჰყავდეს, როგორიც ჩემი სიდედრია, ჩემი ცოლის დედა, ჩვენ ვერავინ ვერც ერთ არჩევნებს ვერ მოგვიგებდა.

(„კავკასია“, 29 მაისის „ბარიერი“)

### 23 მაისს ნიუ-იორკში 86 წლისა გარდაიცვალა რუსი პოეტი ალექსანდრე მეჟიროვი 7



საქართველოს ფიცვერცხლნაჭამი პოეტი მოუკვდა

# „პუტინს ვარწმუნებდი, რომ ამერიკული ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნებოდა“

## ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან

განსჯა

**— ბატონო ედუარდ, თითქმის ორი თვეა საპროტესტო აქციები მიმდინარეობს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. ფაქტია, რომ ეს ადამიანები ქუჩაში იმ უსამართლობამ გამოიყვანა, რაც ქვეყანაში ხდება. არ არის დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, ქვეყანაში არ არსებობს ისეთი უწყება, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები სამართლიანობის გადაწყვეტას მიანდობენ. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ამახვილებს ხელისუფლება ამ საკითხებზე ყურადღებას?**

— ხელისუფლება ყველაფერზე მიდის, კარგზეც და ცუდზეც. რატომ დაავარბიეთ „იმედი“, რატომ გაარეკეთ მომიტინგეები? პირველად იყო რამდენიმე ათეული კაცი, წესიერი ადამიანები, რომლებიც სამუშაო ადგილებს მოითხოვდნენ, რატომ არ მივეცით მათ სამუშაო ადგილები? გახსოვთ, რაც მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან ჟურნალისტები როგორ გამოვრეკეთ გამომცემლობა „სამშობლოდან“. რას ვერჩოდით მწერალთა კავშირს, რომელიმე ქვეყანაში გაგიგონიათ ასეთი რამე? მწერალთა კავშირის შენობა თავის დროზე მწერლებს აჩუქა სარაჯიშვილმა და ხოშტარიამ — ცნობილმა ბიზნესმენებმა, ეს იყო მეფის რუსეთის დროს, და შენ, დამოუკიდებელი საქართველო, მწერლებსართმევ სახლს, შენობას, სადაც ისინი მუშაობენ. ჩვენ, ეტყობა, ბევრი რამ ჩავიდინეთ ისეთი, რასაც ხალხი ასე იოლად არ გვაპატიებს. მიაქციეთ ყურადღება, რატომ არიან მომიტინგეებს შორის ინტელიგენციის წარმომადგენლები — ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ნინელი ჭანკვეტაძე — შესანიშნავი მსახიობები, რატომ აჰყვა ამას ინტელიგენცია. ეს ხალხი ფიქრობს არა დღევანდელზე, არამედ ხვალინდელ დღეზე. რა იქნება საქართველო მწერლების გარეშე, თუ მწერლები არ იქნებიან, თუ წიგნები არ დაიწერება, რა იქნება საქართველო ჟურნალისტებისა და თავისუფალი სიტყვის გარეშე? ამიტომ, თუ პოლიტიკოსი ხარ, უნდა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მარტო შენს სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ შენ ვალდებულებებზე.

**— ოპოზიციამ გადაკეტა სარკინიგზო მაგისტრალი, სამი საათის განმავლობაში რკინიგზა პარალიზებული იყო. სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი, მსგავსი ქმედებები ხომ არ გაალიზიანებს ჩვენს მეზობელ ქვეყნებს?**

— მე რომ ოპოზიციის ადგილას ვყოფილიყავი, რკინიგზას არ გადავკეტავდი. რკინიგზა საქართველოში ემსახურება თითქმის ყველა რაიონს.

**— საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ბოლო პერიოდში ძალიან გართულდა, აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთთან საერთოდ გავწყვიტეთ დიპლომატიური ურთიერთობები, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ქართული მხარის ეს გადაწყვეტილება?**

— არ მიმაჩნია სწორად, ადრე თუ გვიან ხომ დაგვჭირდებოდა ეს ყველაფერი. მართალია, ჩვენ პირველები არ შევსულვართ ცხინვალში, მაგრამ ჩვენ ცხინვალში არ უნდა შევსულიყავით. ახლა თავს იმართლებენ, ჩვენ არ ვიცოდით, ჯარი იყო თუ არა, ჩვენ პირველი არ შევსულვართ და ასე შემდეგ, მაგრამ ცხინვალში შესვლა ყველა შემთხვევაში იყო შეცდომა. იქ რუსეთის ჯარიც რომ არ ყოფილიყო, მაინც არ უნდა შევსულიყავით. ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ბატონ ზვიად გამსახურდიას დროს მოხდა ცხინვალში შეჭრა, მაშინ არც რუსის ჯარი იდგა და არც სხვა. ოსებმა იმდენი გააკეთეს, რომ ჩვენები დამარცხდნენ და იქიდან გამოვიდნენ. განა ეს მაგალითი არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ ცხინვალში შესვლას ფიქრი უნდოდა და მერე გადაწყვეტილების მიღება? როცა საქართველოში დავბრუნდი, გორში ერთ-ერთ შეხვედრაზე მე ოსებს საჯაროდ მოვუხადე ბოდიში. მაშინ ჩიბიროვს ხშირად ვხვდებოდი, ერთხელ ბორჯომშიც გვქონდა შეხვედრა. იმ პერიოდში არჩევნები ახლოვდებოდა, ჩიბიროვი დარწმუნებული იყო, რომ მას აირჩევდნენ. მან მაშინ ასეთი რამ მითხრა, რომ არჩევნებამდე მოვიცადოთ და მერე ვილაპარაკოთ, როგორ ვიცხოვროთ ერთადო. სხვათა შორის, ძასოხოვის აზრი იყო, რომ აღგვედგინა სტატუს-კვო, იყოს ავტონომია, მაგრამ იყოს საქართველოს შემადგენლობაში. ამიტომ, მანამ გადაწყვეტილებას მიიღებ, უნდა იფიქრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე.

**— რამდენად სწორია დღეს საქართველოს დიპლომატიური კურსი და რამდენად წარმატებულია დღეს ქართული დიპლომატია?**

— დიპლომატიაში თუ იმას გულისხმობთ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარო რომელიმე ქვეყანასთან, გახსნა საელჩო, ეს დიპლომატია არ არის, ეს არის უბრალოდ ოფიციალური წარმომადგენლობის გახსნა.

**— თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში ახერხებდით გარკვეული ბალანსის დაცვას, რუსეთთან ასე უკიდურესად მაინც არ იძაბებოდა ურთიერთობა, პარალელურად საქართველო ურთიერთობებს ავითარებდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან. დღეს რატომ ვერ ხერხდება იმავე რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება?**

— პუტინი ჯერ კიდევ პეტერბურგში გავიცანი. ძალიან ნიჭიერი კაცია, სწრაფად დაწინაურდა და ელცინის დროს გახდა პრემიერ-მინისტრი. ელცინი იმ პერიოდში უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და სათათბირო მოითხოვდა მის გადადგომას. მან წამოაყენა წინადადება, მე გადავდგები იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი პუტინი გახდებაო. სხვათა შორის, პუტინი კარგი პრეზიდენტი იყო. რაღაცეები რომ შეეშალა, ეს ალბათ ნაწილობრივ ჩვენი ბრალიც იყო. გეთანხმებით, რომ მაშინ სიტუაციის სტაბილურობის შენარჩუნება ხერხდებოდა. ამერიკა გვეხმარებოდა, მოგვიმზადეს ჯარი, გვაძლევდნენ იარაღს, სურსათს, მაგრამ ამავე დროს პუტინთან მეგობრობას ვაგრძელებდი. პუტინს არაფერს არ ვუმალავდი. როცა ამერიკელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჯარის შექმნაში დაგვხმარებოდნენ, ალმა-ათის სამიტზე პირველ რიგში პუტინს შევხვდი და ვუთხარი, არ ვიქნები გულწრფელი, თუ არ გეტყვი, რომ ამერიკელებმა თავის თავზე აიღეს ქართული ჯარის მომზადება-მეთქი. ცოტა შეიშმუშნა, განაწყენდა, და მითხრა, ჩვენ მოგიმზადებთო. მე ვუთხარი, თქვენ იმდენი ფული არ გაქვთ, მაგრამ ერთი პირობა კი მივეცი, რომ არასდროს საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნებოდა ამერიკული ბაზები. იქვე, ალმა-ათაში, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა დაუსვა კითხვა, როგორ აფასებს იმ ფაქტს, რომ ამერიკელები საქართველოსთვის ჯარს ამზადებენო, პუტინის პასუხზე დამოკიდებული იყო ჩვენი და რუსეთის ურთიერთობა. პუტინმა უპასუხა, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და თვითონვე ირჩევს მეგობრებს და ქვეყანას, რომელიც ჯარს მოუმზადებსო. აი ასეთი ურთიერთობა იყო.



**— გამოსავალი, თქვენი აზრით, მაინც ალბათ ნატო იყო, ვინაიდან თქვენ პრაღის სამიტზე განაცხადეთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების სურვილი ჰქონდა.**

— რა თქმა უნდა, ამის შესახებ გავაკეთე განცხადება, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია და პუტინთან ჩვენი მეგობრობა გრძელდებოდა. ამ განცხადების შემდეგ პუტინს სოჭში შევხვდი, მას ჰქონდა თხოვნა, რომ სოჭიდან სამტრედიამდე გაგვეყვანა რკინიგზა, ამით დავუკავშირდებოდით თბილისს, ბაქოს, ერევანს და თურქეთის ნაწილს. დავეთანხმე და შევთავაზე, რომ სანაცვლოდ გალის რაიონში დაებრუნებინათ ლტოლვილები. ჩემი თანდასწრებით დაურეკა სამშვიდობო ჯარების სარდალს, მისცა სამი დღის ვადა პროცესის დასაწყებად. მაშინ გალის რაიონში ათასობით ადამიანი დაბრუნდა. მაშინ მან დააკანონა ლტოლვილების დაბრუნება. ესე იგი, გამოდის, რომ პოლიტიკოსებს შორის კარგი ურთიერთობა, ხშირად ხელს უწყობს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომელიც ერთი შეხედვით შეუძლებლად მიგვაჩნია.

**— რუსეთთან ურთიერთობაში, კერძოდ რა შეცდომა დაუშვა სააკაშვილმა?**

— მე მაინც ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი შეცდომა, ცხინვალში შესვლა იყო. ათჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გაჭრა. ჩვენ კი არც ერთხელ არ გავზომეთ და ისე გავჭერით. რომ გავჭერით, სამაგიეროც მივიღეთ.

**— თქვენი აზრით, რუსეთის გაღიზიანების უპირველესი მიზეზი საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული ბაზების შესაძლო განთავსებაა?**

— მე პუტინს ვარწმუნებდი, რომ ამერიკული ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნებოდა. დაუთმონ ამერიკას, კი ბატონო, მაგრამ მომავალი თაობის წინაშე პასუხიც უნდა აგონ. შეიძლება, ამერიკას სულაც არ ჰქონდა სურვილი, რომ საქართველოში ამერიკული ბაზა ყოფილიყო.

**— როგორ აფასებთ საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯებს აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში დღემდე, შეაჩერებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა?**

— არსებობს გაეროს უშიშროების საბჭოს რამდენიმე გადაწყვეტილება აფხაზეთთან დაკავშირებით. ყველა რეზოლუცია საქართველოს სასარგებლოდ იყო. რატომ არ შესრულდა ეს ყველაფერი? მაშინ ასე იწერებოდა: „აფხაზეთი (საქართველოჺ“. ახლა საქართველო ამოვარდა. თუ ეს საფრთხე არსებობდა და ეს იყო საკამათო საკითხი, ამისათვის პირველი პირი უნდა ჩაფრენილიყო. თუ არ დაუჯერებდნენ, განეცხადებინა პროტესტი, რომ ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება. ვინმე ჩავიდა საქართველოდან და პროტესტი გამოთქვა?

ესაუბრა
**შორენა მახარაშვილი**

---

ინფორმაცია

### თავისუფლების მოედანი საკნებისგან გათავისუფლდა

**თითქმის ორი თვის შემდეგ, თავისუფლების მოედანი გუშინ პირველად დასუფთავდა.**

დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება ჯერ კიდევ გვიან ღამით დაიწყეს.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიციის გადაწყვეტილებით, თავისუფლების მოედნიდან კარვები გაიტანეს, ღამით კი, მოედანზე სატრანსპორტო მოძრაობაც აღდგა.

რაც შეეხება რუსთაველის გამზირს, ინგოროყვას ქუჩა ისევ გადაკეტილია.

### ნადირობა ოპოზიციის აქტივისტებზე გრძელდება

**ოპოზიციის აქტივისტის მელორ ვაჩნაძის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.**

სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლითაა აღძრული. აღსანიშნავია, რომ ნაცემი მომიტინგე სამართალდამცველებმაც დაკითხეს.

შეგახსენებთ, რომ ვაჩნაძე უკვე მეორედ ცემეს. შემთხვევა 31 მაისს, კოლმეურნეობის მოედანზე მოხდა. თვითმხილველთა განმარტებით, მას ფიზიკურად 7 უცნობი პირი გაუსწორდა.

როგორც ცნობილია, მას ხერხემლის მესამე მალა აქვს დაზიანებული, თუმცა ექიმების განცხადებით, ეს მისი სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

### თურმე „მაესტროს“ „თორის“ პრობლემები ხურავს

**რუსთავის მერი მამუკა ჩიქოვანი საკაბელო ტელევიზია „თორის“ ეთერიდან „მაესტროს“ მაუწყებლობის შეწყვეტასთან ხელისუფლების კავშირს კატეგორიულად უარყოფს.**

როგორც მამუკა ჩიქოვანმა საუბარში განაცხადა, „თორს“ გარკვეული ტექნიკური პრობლემები აქვს და „მაესტროს“ მაუწყებლობის შეწყვეტასთან არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას კავშირი არ აქვს.

ამასთან, საკაბელო ტელევიზია „თორის“ მხრიდან ამ დრომდე არანაირი ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

„მაესტროს“ მაუწყებლობა რუსთავში პარასკევს შეწყდა. „თორის“ აბონენტები ამ ფაქტს აპროტესტებენ. რუსთაველთა ერთი ნაწილი ამბობს, რომ თუ „მაესტროს“ მაუწყებლობა ამ დღეებში არ აღდგება, მოსახლეობა საკაბელოს გადასახადსა და „თორის“ აბონენტობაზე უარს იტყვის.

ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი

---

ბრიფინგი

# ლეიბორისტებმა საპრეზიდენტო დაზღვევის პროგრამა გააკრიტიკეს

**გუშინ პრეზიდენტის მიერ გაზაფხულზე დიდის ამბით გამოცხადებული საყოველთაო იაფი, ხუთლარიანი დაზღვევის პროგრამა დამთავრდა. ხელისუფლების მონაცემებით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 900 ათასი ადამიანიდან ნახევარზე მეტმა ეს დაზღვევა აიღო და უკვე გამოიყენა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ტელევიზიებში გაჟღერებული რეკლამები ასე გვეუბნებიან. როგორც ცნობილია სადაზღვევო პაკეტის ღირებულება ერთი წლის განმავლობაში თითოეული დაზღვეულისთვის 19,80 ლარს შეადგენს. დანარჩენს კი სახელმწიფო ფარავს.**

**სწორედ ამ საკითხზე გამართა ბრიფინგი ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა და ხელისუფლება ხალხის მოტყუებაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა.**

სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი:

— 1 მარტს მთავრობამ და პირადად პრეზიდენტმა დიდი ზარ-ზეიმით ამცნო საზოგადოებას, რომ დაიწყო ე. წ. ჯანმრთელობის იაფი დაზღვევის პროგრამა, რომელსაც თურმე შეეძლო საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი პრობლემის ერთად გადაწყვეტა. მაგრამ ჩვენ გვსურს განვაცხადოთ, რომ ეს ისეთივე ბლეფია და სისულელეა, როგორიც დაპირებული ასი უმაღლესი სტანდარტის საავადმყოფო, რომელთაგან ჯერ არც ერთი არ აშენებულა.

სოსო შატბერაშვილმა ასევე განაცხადა, რომ მთავრობა და პრეზიდენტი მაშინაც იტყუება, როცა აცხადებს, რომ 500 ათას ადამიანამდე დაზღვეულა. ლეიბორისტული პარტიის ინფორმაციით, ეს რიცხვი მხოლოდ 15 ათას ადამიანს შეადგენს და არის შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო კომპანიები უარს ეუბნებიან ავადმყოფებს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე. მაგალითად კი „ალდაგი ბი სი აი“ დაასახელა.

სოსო შატბერაშვილმა აღნიშნა, რომ ეს დაზღვევა არ ითვალისწინებს სერიოზული დაავადებების მკურნალობას, როგორიცაა: კარდიოლოგიური, უროლოგიური, კუჭ-ნაწლავისა და ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა და დასხივება.

— სამაგიეროდ გაუქმდა ყველა სახელმწიფო პროგრამა ჯანდაცვის სფეროში. ბიუჯეტში თითოეული ადამიანის მკურნალობაზე გამოყოფილი თანხა სადაზღვევო კომპანიებში გადავიდა, რომლებიც წარმოადგენენ სააკაშვილის, მისი ოჯახის წევრების, უგულავას, მერაბიშვილისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების წევრების პირად საკუთრებას. ასე რომ, სახეზეა კიდევ ერთი აფიორა, რომელიც მიზნად ისახავდა არჩევნების წინ მოსახლეობის მოსყიდვას და საკუთარი ჯიბეების კიდევ უფრო გასქელებას. ამ სისულელეების ხალხსაც აღარ სჯერა და ამიტომაც მხოლოდ 15 ათასი ადამიანი დაზღვეულა.

როგორც ბატონმა სოსომ აღნიშნა, რადგან [illegible] ლეიბორისტები მოუწოდებენ მათ [illegible] და უფასო პოლიკლინიკური მკურნალობის აღდგენას და ასევე აღადგინონ ყველა ის პროგრამა, რომელიც ძირითადი დაავადებების მკურნალობას ითვალისწინებდა.

**ანა წიწილაშვილი**

ხედვა

# ზურაბ აბაშიძე: ახლა ბურთი ხელისუფლების მოედანზეა

***ოპოზიციის მიერ 26 მაისს ჩატარებულ აქციაზე, 26 მაისის შემდეგ ოპოზიციურ ფლანგზე განვითარებულ მოვლენებზე და ხელისუფლება-ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების პერსპექტივის შესაძლებლობებზე, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგიის დოქტორს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.***

**— ბატონო ზურაბ, თქვენი აზრით, ოპოზიციის მიერ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნამ და დედაქალაქში შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა რა დაგვანახა?**

— 26 მაისს, ოპოზიციის დიდმა თავყრილობამ ორგანიზებულად, მშვიდად ჩაიარა. სტადიონზე იგრძნობოდა ერთიანობა, ზომიერება, ყველაფერი ზედმეტი აჟიტირების გარეშე გაიმართა, რაც ძალიან კარგია. ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისადმი მიღებული ტექსტი აბსოლუტურად ნორმალური იყო. პირადად მე კარგ ნიშნად მივიჩნიე სტადიონზე მწვავე კრიტიკის ნაკლებობა. აშკარაა, რომ ოპოზიციამ აჩვენა ორგანიზებულობა, სერიოზულობისა და სოლიდურობის მესიჯი დააგზავნა ჩვენი უცხოელი პარტნიორების მისამართით, რომლებიც მათ ასე სჭირდებათ.

პირადად მე გაორების გრძნობა მაქვს, თუნდაც იმიტომ, რომ უკვე, მგონი მე-18 წელიწადია ქართული საზოგადოება გახლეჩილი ხვდება დამოუკიდებლობის დღესასწაულს. ეს თავის თავად ძალიან მაღელვებს, რადგან ვერ იქნა და ვერ მოხდა ჩვენი საზოგადოების შინაგანი გამთლიანება. მიუხედავად ამისა, მეც და ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმაც გააცნობიერეს, რომ ოპოზიციის სახით სერიოზულ ძალასთან გვაქვს საქმე.

დემონსტრანტებში იყო რადიკალური ნაწილი, რომელიც მოითხოვს სწრაფ, ძალისმიერ ქმედებებს და ეს სახიფათოა. ამ პუბლიკას ოპოზიცია არანაირად არ უნდა აჰყვეს, თორემ ეს დიდ უბედურებას მოგვიტანს. ამგვარი განწყობა აქვს ხალხის უმცირესობას. საზოგადოების უდიდესი ნაწილი იყო აბსოლუტურად მშვიდობიანად განწყობილი, სამებაში მისვლაც ამის ნიშანი იყო, მაგრამ არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც დღესვე უნდა ცვლილებები ნებისმიერ ფასად. ეს კი ძალიან სახიფათოა. მე ვხედავ, რომ ოპოზიციაში, სადმე



შევარდნის მოწოდებების სახიფათობას აცნობიერებენ.

**— ფაქტია, რომ ოპოზიციის ერთიანობა რეალურად აღარ არსებობს, პოლიტიკურმა სუბიექტებმა ცალცალკე ბრძოლის გზა აირჩიეს. . .**

— ჩვენ ვხედავდით, რომ ოპოზიცია არ არის ერთგვაროვანი. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ ერთი ნაწილი მომხრეა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების, ხოლო მეორე ნაწილი წინააღმდეგია. ამას ოპოზიციის ლიდერები როლების გადანაწილებით ხსნიდნენ, ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო. მაგრამ, ვისაც ცოტა დაკვირვებული თვალი აქვს, დაინახავდა იმას, რომ ერთის მოწოდება უფრო ორგანულია, ვიდრე მეორის.

ასე რომ, ხდება ალბათ ის, რაც უნდა მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს ამ პარტიებს სხვადასხვა ხედვა აქვთ და მათ მიერ ცალ-ცალკე გზის არჩევა კატასტროფა არ არის. ისინი, რაღაც ეტაპზე ნებისმიერ შემთხვევაში გაიყოფოდნენ, ვინაიდან არჩევნების შემთხვევაში, ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან.

გარდა ამისა, მართალია, მათ საერთო მიზანი აერთიანებთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თითქმის ყველა მათგანს მიზნის მიღწევის სხვადასხვა გეგმა აქვს. საერთო მიზანში, საქართველოში დემოკრატიულ ცვლილებებს ვგულისხმობ.

**— თქვენი ვარაუდით, როგორ განვითარდება მოვლენები? ოპოზიციის ნაწილი გააგრძელებს აქციებს თუ აქციების ეტაპი დასრულდა? თუ დასრულდა, რა შედეგით დასრულდა საზოგადოების ერთი ნაწილისა და ოპოზიციის აქტიურობა?**

— იმ ფორმებმა, რომელსაც აქამდე ოპოზიცია იყენებდა, თავისი რესურსი ამოწურა. მხედველობაში მაქვს „საკნები“. მეეჭვება, რომ „საკნების ქალაქი“ ახლა ოპოზიციის სასარგებლოდ მუშაობდეს. ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ „საკნები“ მათი სავიზიტო ბარათია. ისინი თავად უნდა დააკვირდნენ, რამდენად მომხიბვლელია მათივე სავიზიტო ბარათი.

როგორც ოპოზიციის ყველა ლიდერი ამბობს, პროტესტი სხვადასხვა ფორმით გაგრძელდება. ზოგი ასახელებს უფრო რადიკალურ ქმედებებს — რკინიგზისა და აეროპორტის გადაკეტვას. ამასთან დაკავშირებით, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, ერთმნიშვნელოვნად ვიტყვი — ამას ვერანაირად დავეთანხმები, რადგან ეს არ არის პროტესტის ფორმა ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთი რამ არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. სხვადასხვა ქვეყნებში მინახავს რკინიგზის ან აეროპორტის მუშაკთა გაფიცვა, მაგრამ რკინიგზის და აეროპორტის გადაკეტვა არსად მინახავს. ასე მხოლოდ ჩვენთან 90-იან წლებში იყო. მაგისტრალების გადაკეტვა, რომლებიც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აბსოლუტურად მიუღებელია.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციის წინადადებებზე ხელისუფლებას პასუხი პრაქტიკულად არ გაუცია, ხელისუფლება აპრილის აქციების დაწყებამდე იყო უფრო ძლიერი, თუ 26 მაისის შემდგომ ოპოზიციურ ფლანგზე განვითარებული პროცესების შემდეგ?**

— ძალიან მიკვირს ხელისუფლება ოპოზიციის წინადადებებზე რეაქციას რომ არ იძლევა. მათ გამოაქვეყნეს ხუთწინადადებიანი პაკეტი. ოპოზიციამ საპასუხო ნაბიჯი გადადგა, ჩვენც ვუყიჟინეთ ოპოზიციას, რომ დიალოგზე წასულიყო და თავისი მოთხოვნები ჩამოეყალიბებინა. მათ ხელისუფლებას პასუხი კი გასცეს, მაგრამ ახლა ხელისუფლებიდან არანაირი რეაქცია არ არის. ოპოზიციის 6 პუნქტში ხელისუფლებისთვის რაღაც ხომ უნდა იყოს მისაღები? გასაგებია, რომ ყველაფერი მისაღები არ იქნება. რაც მისაღებია, იმის თაობაზე უნდა გაგრძელდეს ბჭობა. რაც არ არის მისაღები, იმის შესახებაც არის სალაპარაკო. მოლაპარაკების პროცესი ამას ჰქვია.

რაც შეეხება იმას, 9 აპრილამდე ვინ უფრო ძლიერი იყო და ახლა ვინ უფრო ძლიერია და სუსტი, ვფიქრობ, 9 აპრილამდე ხელისუფლებაც და ოპოზიციაც უფრო ძლიერი იყო. ობიექტურად ასე იყო — ხელისუფლებაც და ოპოზიციაც უფრო ძლიერად გრძნობდა თავს. ახლა, აქციების შემდეგ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც დასუსტებულია. ერთის და მეორის ავტორიტეტიც შეილახა. ეს კი მთლიანად ქვეყნის ავტორიტეტზე მოქმედებს. ამაზე უნდა იფიქროს ერთმაც და მეორემაც. უფრო ხელისუფლებამ, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა ბურთი ხელისუფლების მოედანზეა, მხედველობაში მაქვს ოპოზიციის წინადადებებზე ხელისუფლების საპასუხო რეაქცია.

**— თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ხელისუფლება-ოპოზიციის დიალოგს?**

— პირველ შეხვედრაზე ხელისუფლებამ ოპოზიციას წარუდგინა ხუთპუნქტიანი წინადადებები, შემდეგ მას ოპოზიციამ კონტრწინადადებებით უპასუხა. ახლა ამის გარჩევა ხომ უნდა მოხდეს? ეს ხომ არ უნდა მიიჩქმალოს და ყველაფერი ისე დადუმდეს, თითქოს არც არაფერი მომხდარა? ალბათ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ასეთ საპასუხო ნაბიჯს ხელისუფლება გადადგამს. ოპოზიციის წინადადებებში არის საკითხები, რომელთა ერთობლივად გადაწყვეტა იოლად არის შესაძლებელი.

**კობა ბენდელიანი**

თვალსაზრისი

# „რესპუბლიკის თავზე უღრუბლო ცაა“

**ამ წერილის სათაურად გამოყენებული ფრაზა ესპანეთის რადიოეთერში 1936 წელს გაისმა, რომელიც რესპუბლიკელთა რევოლუციური გამოსვლის ნიშანი გახლდათ.**

**საქართველოს თავზე, ჯერჯერობით, ნამდვილად არ არის „უღრუბლო ცა“, ამ სიტყვის არც რევოლუციური და არც მეტეოროლოგიური მნიშვნელობით.**

არადა, თითქოს რევოლუციური სიტუაციაა საქართველოში. რევოლუციური, ამ სიტყვის ძალიან ფართო გაგებით, რადგანაც მოსახლეობის დიდ ნაწილს, არა მხოლოდ ხელისუფლება ამოუვიდა ყელში, ოპოზიციის უნიათობის ატანაც აღარ შეუძლია და სრულიად მოსალოდნელია, რომ ქართველებისთვის „დამახასიათებელი“, საერთაშორისო სტანდარტებისგან სრულიად განსხვავებული რამ, ანუ ხალხისგან, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის საკმაოდ დიდი ნაწილის რევოლუციური კანონით გასამართლება მოხდეს.

მაპატიე ძვირფასო მკითხველო, რომ წერილის დასაწყისში, ჩემს „ჩვეულ სტილს“, ანუ ირონიით აღსავსე შესავალს „ვუღალატე“ და პირდაპირ „მკაცრ განცხადებაზე“ გადავედი.

ამ ყველაფრის მიზეზი, კი 26 მაისს, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი ხალხის დანახვის დროს მოგვრილი სიამაყის განცდა და შემდეგ მრავალჯერ გაგონილი „ახლა დავიშალეთ და ხვალ 6 საათზე ისევ ვიკრიბებითო“ იყო.

ისე, რაღა დაგიმალოთ და (ისევ „ჩემს სტილს“ ვუბრუნდები), მაინც ძალიან მაგრები ვართ ქართველები.

ჯერ ერთი, რომ ევროპას ერთი დღით დავასწარით და ბაზრობასთან რომ სტადიონია, იქ ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის ქართული ვარიანტი გავითამაშეთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დამსწრეებს, თავიდან „ცალკარა“ თამაში გვეგონა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ „არც მთლად ეგრე ყოფილა საქმე“.

ბუნებრივია, რომ ოპოზიციის „ლიდერების“ გარკვეული ნაწილიც (მიუხედავად მათი „ცნობადობისა“ძ ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც ჰყავთ მანქანები (რომელთაც ხანდახან პატრული ჩამოართმევსძ, აქვთ აგარაკები (სადაც ბოსტანია გასათოხნი და პამიდორია დასარგავიძ, ჰყავთ ოჯახები (რომელთაც მიხედვა უნდათძ, ხოლო ის ხალხი, რომლებიც, ძალიან უხეშად რომ ვთქვა, მათი მომავალი „მსუქანი“ ხელფასებისთვის, წვიმაში, სიცხეში (მაინც რა უცნაური ამინდები იცის თბილისშიძ და ყოველ წუთას მორიგი პროვოკაციის საშიშროების ქვეშ რომ დგანან, კიდევ დადგებიან. დადგებიან და ალბათ რაიმე შედეგსაც მიაღწევენ.

ეს „ლიდერები“ კი დღეგამოშვებით შვიდის ნახევრიდან, რვა საათამდე, „მკაცრად გადატიხრულ“ ტრიბუნაზე, ერთმანეთს ენაცვლებიან და შემდეგ სასწრაფოდ „მიეშურებიან ბრძოლის ახალი ტაქტიკისა და ახალი გეგმის შესამუშავებლად“ (არა, მიტინგი ყოველდღე ტარდება, უბრალოდ „ლიდერები“ მოდიან დღეგამოშვებით).

რატომღაც მხედართმთავარ სუვოროვზე გადაღებული, ერთი ძველი საბჭოთა ფილმი მომაგონდა, რომელშიც სუვოროვი, ბრძოლისგან თავისუფალ მთელ დროს ჯარისკაცებთან ატარებდა (რა ვიცი, შევადარო სუვოროვი ამ ჩვენს სტრატეგებს?ძ. რა დასამალია და არც ის მახსოვს, მერაბ კოსტავა როდესმე „ლობით“ ყოფილიყო ხალხისგან განცალკევებული (ვერც მერაბ კოსტავას შევადარებ ზოგიერთ „ლიდერს“ძ.

კარგით, მეყოფა ეს „დაცინვა“ (მით უმეტეს, რომ დაცინვას არამც თუ „ლიდერი“, ჩვეულებრივი კაციც არ მოუკლავს) და ისევ სერიოზულად გავაგრძელებ მსჯელობას (მეც გადმომედო მგონი „ოპოზიციური სტილი“, ხან სერიოზული, ხანაც იუმორისტული).

დავიწყებ ისევ 26 მაისიდან.

საქართველოს მოსახლეობამ, აიძულა ხელისუფლება, რომ მორიგი სისულელე არ ჩაედინა და არ მისცა საშუალება, პომპეზურად აღენიშნა მათ მიერ მიღწეული „დიადი გამარჯვებები“.

არ მისცა „თვითტკბობის“ საშუალება და ეროვნულ სტადიონზე საკუთარი ღირსების, საკუთარი მომავლის, საკუთარი სამშობლოს დასაცავად და საკუთარი ნების გამოსახატად შეიკრიბა.

მაპატიეთ ამ მცირე პათეტიკისთვის, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ძალიან ლამაზი იყო ტრიბუნაზე მჯდომი ცისანა სეფიაშვილი, იმედის მომცემი იყო ხალხში მდგარი პაატა ბურასპაული, ჟრუანტელის მომგვრელი იყო ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ ნათქვამი „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“.

შესანიშნავი იყო ეს ყველაფერი.

იყო პოლიტიკოსთა გამოსვლებიც.

ცხადია იქ არაფერი ახალი არ თქმულა, გამოდიოდნენ პოლიტიკოსები და ძირითადად „დასავლეთ ტრიბუნას“ მიმართავდნენ (არა, ძვირფასო მკითხველო, დასავლური ორიენტაციის გამო კი არა, უბრალოდ სცენა დასავლეთ ტრიბუნის მხარეს იყო დადგმული).

მხოლოდ ნინო ბურჯანაძემ მიმართა მთელს ხალხს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი გამოსვლა ნამდვილი ლიდერის გამოსვლა, იმ პოლიტიკოსის გამოსვლა იყო, რომელსაც შეუძლია სერიოზული პასუხისმგებლობის აღება.

სამაგიეროდ საღამო ხანს ამ ამაღლებულ განწყობაზე, „ცივი წყლის“ გადასხმა დაიწყო.

კრიმინალურ თემაზე გადაღებულ მრავალ ფილმში, ხშირად არის სიტუაცია, როდესაც ორი პოლიციელი, ან ორი დამნაშავე, სასურველი ინფორმაციის მიღების მიზნით, „ცუდს და კარგს“ „თამაშობენ“, ანუ ერთი მათგანი, რადიკალური ზომების მომხრეა, ხოლო მეორე, ტკბილი სიტყვით ცდილობს სასურველი შედეგის მიღწევას და ამ პროცესში ისინი ვითომდა ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, კამათობენ და ბოლოს კი ერთად ახორციელებენ „გადამწყვეტ დარტყმას“.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა დავიჯერო ოპოზიციის მიერ, ბრძოლის ამ „სტილში გაგრძელება“, სამწუხაროდ მაინც ვერ ვიჯერებ, რადგანაც საკმაოდ კარგად ვიცნობ ქართულ ოპოზიციას და არა მგონია, რომ მათ თავიანთ „არსენალში“ მსგავსი ტაქტიკა გააჩნდეთ.

ამ „მარტივი“ მიზეზის გამო, ოპოზიციაში მომხდარი „გადაადგილებები“, რბილად რომ ვთქვა, არამც თუ მე, მოსახლეობის დიდ ნაწილსაც მაინცადამაინც არ მოეწონა და აქცია საპროტესტო მუხტის დაცემის რეალური საშიშროების წინაშე დადგა.

28 მაისს გავრცელებული პატრიარქის განცხადება დაძაბული სიტუაციის ნორმალიზების რეალურ წინაპირობად იქცა.

ხელისუფლების არაადეკვატურობისა და ოპოზიციის გარკვეული ნაწილის არც თუ ისე მკვეთრი პოზიციის გამო, ძალიან საინტერესო იყო ერთი კითხვა: საქართველოს ისტორიაში არსებობდა თუ არა ეკლესიის მიერ გარკვეული პერიოდით ქვეყნის მართვის ხელში აღების პრეცედენტი.

აღმოჩნდა, რომ პრობლემის ასეთი ფორმით გადაჭრის პირდაპირი მაგალითი არ გვქონია, მაგრამ მიახლოებულ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს როსტომ ხანის მმართველობის დროს, საქართველოს მაშინდელი კათალიკოს-პატრიარქის, შემდგომში წმინდანად შერაცხული თადეოზ დიასამიძის მიერ, როსტომ ხანისა და მისი „გუნდის“ საჯაროდ დაგმობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პატრიარქის 28 მაისის განცხადებას ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციები მოჰყვა, რომელთა გავრცელებასაც, როგორც წესი, მათმა „კურიერებმა“ შეუწყვეს ხელი და მოსახლეობის დროებითი დეზინფორმაციაც მოახერხეს, მაგრამ ბეჭდურმა პრესამ პატრიარქის განცხადება ყოველგვარი „სახელისუფლებო შელამაზებების“ გარეშე გაავრცელა.

ბუნებრივია, რომ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო და ორივე მხარე გარკვეული ტაქტიკით შეეცდება ამას.

ხელისუფლების „ქვედა რგოლები“ „ჩვეულ სტილში“ გააგრძელებენ ძალისმიერი პროვოკაციების მოწყობას, ხოლო „ზედა ეშელონები“ მაქსიმალურად შეეცდებიან პროცესის დროში გაწელვას.

მაგალითად, დაიწყება გაუთავებელი „მონიტორინგები“ საარჩევნო კანონისა და საარჩევნო სიების ირგვლივ. ამ „მონიტორინგებში“ კი „აქტიურად ჩაერთვება“ ე. წ. „საპარლამენტო ოპოზიცია“, რითაც ისინი პირველ რიგში თავიანთი „საპარლამენტო მოღვაწეობის ვადის“ გაგრძელებას შეეცდებიან.

რაც შეეხება ნამდვილ ოპოზიციას, აქ კი უბრალოდ აუცილებელი ხდება მკვეთრად ჩამოყალიბებული ლიდერების გამოჩენა. ლიდერებისა, რომლებიც არა მხოლოდ მოლაპარაკებებში („მოლაპარაკებებში“ და არა „დიალოგში“ძ მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას და სწორ გადაწყვეტილებებამდე მივლენ, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტებთანაც იმუშავებენ.

ასეთ ლიდერებად კი ლევან გაჩეჩილაძე და ნინო ბურჯანაძე ჩანან. ბუნებრივია, რომ ოპოზიციის დანარჩენი ხელმძღვანელები, ფუნქციებს სწორად გადაინაწილებენ და რეალური შედეგით დაასრულებენ დაწყებულ აქციას.

წინააღმდეგ შემთხვევაში „რესპუბლიკის ცაზე, მუდმივი მოღრუბლულობა და საკმაოდ დიდი ნალექია“ მოსალოდნელი.

**გია გაბრიჭიძე**

## საკვირაო მიმოხილვა

# კონკურსი იწყება

**როგორც მოსალოდნელი იყო, გასულ კვირაში ახალ ფაზაში შევიდა ბრძოლა ჯერ კიდევ ცოცხალი დათვის ტყავის გასანაწილებლად. არენაზე პრეზიდენტობის მანამდე უცნობი პრეტენდენტი გამოჩნდა — პეტერბურგში მოღვაწე ალექსანდრე ებრალიძე.**

გალეტილი საქართველოს პრეზიდენტობის პრეტენდენტებზე — ცოტა მოგვიანებით, ახლა კი ორიოდ სიტყვით, იმ მოლოდინზე, რასაც მთელი ქართული საზოგადოება, 9 აპრილიდან მოყოლებული, 26 მაისს უკავშირებდა.

ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი ასეთი იყო — 26 მაისს სააკაშვილის ხელისუფლება დამთავრდება (მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაოძ! ყველაზე პესიმისტური — არაფერიც არ შეიცვლება, მიშას ტახტი მტკიცეა.

არც ერთი გამართლდა და არც მეორე: სააკაშვილის ხელისუფლება, მრისხანე და კატეგორიული მოთხოვნების მიუხედავად, „პოლიტიკურ მოუსავლეთში“ (ნათელაშვილის საყვარელი ტერმინიაძ არ გადაბარგებულა; მიშას პრიალა საპრეზიდენტო ტახტი კი საგრძნობლად მოირყა.

26-მა მაისმა, ანუ თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე შეკრებილმა ხალხმა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაანახა, რომ მასთან ხუმრობა ძველებურად აღარ გაუვა. კაცმა რომ თქვას, ეს იყო სიმბოლური შეკრება. ხომ არ დაიღალა მოპროტესტე ხალხი: ხომ არ შემოაკლდა მხარდამჭერები ოპოზიციას? ხომ არ დაიწყო განხეთქილება ოპოზიციაში? ხომ არ თმობს ან იცვლის ვინმე პოზიციას?..

ამ და მრავალ სხვა კითხვას მრავლისმეტყველი პასუხი სტადიონის ხალხით გადაჭედილმა ტრიბუნებმა გასცა. სხვა ყველაფერი — ოვაციები, მხურვალე გამოსვლები, მისალმებები, დროშების ფრიალი — სამოქალაქო ზეიმის აუცილებელი ატრიბუტები იყო. ასე რომ, სტადიონის აქციამ თავისი დანიშნულება სრული ასი პროცენტით შეასრულა და იგი შეიძლებოდა დაწყებიდან რამდენიმე წუთშიც კი დასრულებულიყო.

როგორც მოგახსენეთ, ხალხი ელოდა სასწაულს. მაგალითად ასეთს: სტადიონის სარბენ ბილიკებზე მისი უწმინდესობა, ილია მეორე შემოდის, მრევლს ლოცავს და მიხეილ სააკაშვილს ხალხის ნების აღსრულებისკენ, უფრო პროზაულად — გადადგომისკენ მოუწოდებს! მიშაც საქართველოს მწყემსმთავრის მოწოდებას უდრტვინველად ემორჩილება.

მისი უწმინდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღლუმზე რომ გამოჩენილიყო კიდეც, ამაში უცნაური და სასწაულებრივი არაფერი იქნებოდა — პატრიარქი მიდის თავის მრევლთან, როგორც დღემდე უამრავჯერ გაუკეთებია. რადგან ამჯერად ასე არ მოხდა, სტადიონზე შეკრებილი მრევლის ნაწილი პატრიარქის შესახვედრად სამების ტაძრისკენ დაიძრა.

ზუსტად საღამოს ექვს საათზე, სამების ტაძარში და მის შემოგარენში შეკრებილი 40 ათასამდე ადამიანი გულისფანცქალით ელოდა პატრიარქის ქადაგებას, რომელიც 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. პირდაპირ რომ ვთქვა, ეს იყო ორჭოფული გამოსვლა, რომელმაც, მოგვიანებით (28 მაისსძ, საპატრიარქოსვე განცხადებით, „საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რადგან მისი შინაარსი მხოლოდ ხელისუფლების მხარდამჭერ პოზიციად იქნა აღქმული“. ეს „არაერთგვაროვანი რეაქცია“ იმასაც მოჰყვა, რომ პატრიარქის ქადაგების დაწყებამდე, სამების ტაძარში შეიარაღებულ პირად დაცვასთან ერთად შეჯირითდნენ (ამ სიტყვის სრული პირდაპირი გაგებითძ თბილისის მერი გიგი უგულავა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და საკრებულოში (ღმერთო შეუნდე უგულავას და ბაქრაძეს, რამეთუ უგუნურ არიანძ ზუსტად იმდენ ხანს დარჩნენ, რამდენიც პატრიარქის ქადაგებამ დაიგვიანა — 40 წუთი.

როგორც ჩანს, სიმართლესთან ახლოსაა გავრცელებული აზრი, რომ დედაქალაქის მერს თბილისი გიგისი ჰგონია — თავისი ხალხით, სამღვდელოებით, წარმოება-დაწესებულებებით, რესტორნებით, აბანოებით, შადრევნებით, ქუჩაბანდებით და ყვითელი ავტობუსებით.

ამაღლებას, 28 მაისს ერის სულიერმა მამამ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, სადაც სიტყვა-სიტყვით ნათქვამი იყო:

(26 მაისსძ „ხელისუფლება არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, ხოლო მომიტინგეების მკვეთრი ქმედებების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო შეტაკება და სისხლისღვრა. ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესიამ საკუთარ თავზე აიღო მძიმე ტვირთი და გადადგა ისეთი ნაბიჯი, რაც ამ რეალურ საფრთხეს ააცილებდა ჩვენს ხალხს. ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა ამოიწურა, სიტუაცია კვლავ სერიოზული და ფეთქებადსაშიშია. ვფიქრობთ, ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯი უნდა გადადგას დაძაბულობის განმუხტვისთვის, იქნება ეს რიგგარეშე არჩევნები, მოლაპარაკებები თუ სხვა“.

ამ განცხადების შემდეგ ყველაფერი გასაგებია — პატრიარქის 26 მაისის ქადაგება ხელისუფლების მხრიდან ეკლესიაზე შანტაჟის შედეგი უნდა ყოფილიყო.

26 მაისმა და ხელისუფლების არაადეკვატურმა ქმედებებმა ოპოზიცია კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ გამარჯვება ერთი ხელის გაწვდენაზეა. ამას დაერთო შეუთანხმებლობა ზოგიერთ ტაქტიკურ საკითხზე. თუ ამას მნიშვნელობა აქვს, მეც, როგორც ამ ქვეყნის ერთ მოქალაქეს და წრფელ გულშემატკივარს, მიმაჩნია, რომ პერმანენტული საკნები, პიკეტები და გადაკეტვები უკვე ანაქრონიზმად და, ფაქტობრივად, ხელისუფლებისთვის მხარდამჭერ მოვლენად იქცა.

ასეა თუ ისე, ხელისუფლებისგან „რადიკალურად“ შერაცხული ოპოზიცია „გაერთიანებად“, „ალიანსად“, „ფორუმად“ და „კოკოდ“ დაიშალა. ლეიბორისტები ხომ თავს აქამდეც არავის უყადრებდნენ.

კაცმა რომ თქვას, ამაში ცუდი არაფერია — მონოლითური ერთაზროვნება, ერთსულოვნება მხოლოდ ლენინის ბოლშევიკურ, ჰიტლერულ ნაციონალურ-სოციალურ პარტიაში და მიშას ნაციონალურ მოძრაობაში სუფევდა.

ვერ გეტყვით, ოპოზიციური ძალების დაქსაქსვის პერსპექტივამ გაახარა ასე უზომოდ, თუ მართლა ისეთია, რასაც აბრალებენ, მაგრამ 27 მაისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა „ასაფეთქებლად“ გამზადებული თბილისი მიატოვა და — არა, ამას მომავალი თაობები არ დამიჯერებენ — მიატოვა და... ბარსელონა-მანჩესტერის საფეხბურთო მატჩზე დასასწრებად რომში გადაფრინდა!..

ვიდრე ჩვენი ჭირვეული ბიჭუნა-პრეზიდენტი ევროპულ დედაქალაქებს შორის დაუპატიჟებლად დაჰქრის, საქართველოს რიგიან თუ ურიგო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეთა მსურველთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. განსაკუთრებული მითქმა-მოთქმა პეტერბურგელი მილიონერის ალექსანდრე ებრალიძის გამოჩენამ გამოიწვია. სახელისუფლებო და ზოგიერთი ოპოზიციური ძალებიც ისე აფორიაქდნენ, როგორც თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლისას.

გაგიკვირდებათ და, ამ ბატონ ალექსანდრეს, რომელსაც, თურმე, ბოლო ორმოცი წელიწადი საქართველოში არ უცხოვრია, რუსეთის მოქალაქეა და ბიზნესიც იქა აქვს, „მისტერ ქართული პარლამენტის“ ტიტულის უდავო პრეტენდენტმა, გივი თარგამაძემ საჯაროდ „ფიზიონომია“ დაუწუნა!

ჩემი სწავლებისგან გივის ჯვარი სწერია, მაგრამ, როგორც ცნობილია, დიდად დახვეწილი სახის ნაკვთებით, არც აბრაამ ლინკოლნი გამოირჩეოდა. არ მკითხოთ ახლა, ეს ლინკოლნი ვინღააო! რას ვიზამთ, გივი თარგამაძისნაირი ლამაზი ბიჭები ზოგჯერ ცოტა წინდაუხედავები არიან.

ლამაზ პოლიტიკოს ბიჭებზე გამახსენდა — გასულ კვირაში საქართველოს მთავარმა ლეიბორისტმა ბატონმა შალვა ნათელაშვილმა რჩეული თავმდაბლობით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ საქართველოს პრეზიდენტობის ერთადერთი რეალური კანდიდატი (თუ გვინდა, რომ საქართველო გადარჩესძ არის ბატონი შალვა ნათელაშვილი.

პრეზდენტობისთვის ინტენსიურად ემზადება ბატონი კოკოც (კონსტანტინე ზვიადის ძეძ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიზნის მისაღწევად ულვაშიც კი გაიპარსა, მისი შანსები ძალიან სერიოზული უნდა იყოს.

რადგან საქმე ლამაზ ბიჭებზე მიდგა, არც გიგი უგულავას, გიორგი თარგამაძეს და ჯონდი ბაღათურიას დავიწყება ივარგებს. რაც შეეხება ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, იგი, სავარაუდოდ, სილამაზის ამ კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს. ჯერ ერთი ქალია, მეორეც — წინდახედულია და მესამეც — ჭკვიანია.

**თეიმურაზ ქორიძე**

## ოპოზიცია

***ხელისუფლება ნერვებს უშლის ოპოზიციას თავისი „კანონიერებით“, განაცხადა „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრმა მანანა ნაჭყებიამ, რომელიც „თავისუფალი აზრის სახლში“ სხვა ოპოზიციონერებთან ერთად იყო მიწვეული.***

***9 აპრილისა და 26 მაისის აქციების ორგანიზატორები ოპტიმიზმით უყურებენ მომავალს, თუმცა ხალხის თანადგომა და აქტიურობა რომ ამ პროცესების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი ძალაა, ამას არაერთხელ გაუსვეს ხაზი.***

***ჩვენ გავესაუბრეთ ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს გუგული მაღრაძეს და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატს ადა მარშანიას.***

# საპროტესტო ტალღის მეორე ეტაპი უფრო ხანმოკლე, უფრო აქტიური და უფრო ხიფათიანი იქნება...



**გუგული მაღრაძე:**

— ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა იმას, რომ ქვეყანაში კრიზისია, მაგრამ ეს პატრიარქმა დაადასტურა და ხელისუფლებასაც მოუწოდა, ინტენსიური გახადოს მოლაპარაკებისა და არჩევნების თემა, ის, რომ მას აღარა აქვს უფლება, სირაქლემას პოზა ჰქონდეს.

**— ხელისუფლება აცხადებს, პატრიარქმა ვადამდელი ადგილობრივი არჩევნები იგულისხმაო?**

— არა, აქ ისეთი არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომელიც განმუხტავს სიტუაციას, თუ ხალხი იმას დათანხმდა, რომ 2010 წლის არჩევნები ამას განმუხტავს, სხვა ამბავია, მაგრამ ამაზე არავინ წავა.

**— ქალბატონო გუგული, ტაქტიკაზე რას იტყვით, რატომ გაემიჯნეთ თანამებრძოლ ოპოზიციას?**

— ტაქტიკა შეიძლება მრავალფეროვანი იყოს, მაგრამ სტრატეგია ერთია. თუკი არ განხორციელდა არჩევნები, აზრი არა აქვს ოპოზიციის პოლიტიკურ მოღვაწეობას და ქვეყანა ვერასდროს გამოვა ჩიხიდან.

ტაქტიკაში არის განსხვავება: ვიღაცას მიაჩნია, რომ ინტენსიურად უნდა გაიმართოს რადიკალური აქციები, გზა გადაკეტოს და სხვა. მგონია, რომ ზოგიერთი აქცია საჭიროა, ზოგიერთი აქცია შეიძლება საჭიროა, მაგრამ შესაძლოა არ მქონდეს რესურსი მასში მონაწილეობის მისაღებად. ჩემი რესურსი შეიძლება ის იყოს, რომ ხალხს გავაგებინო, ავუხსნა, რაშია საქმე, უფრო ინტენსიურად ვიმუშაო საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთთან, მე პირადად ყოველდღე ვაწვდი უცხოურ პრესას ინფორმაციებს. ყველამ უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია.

**— თითქმის ორი თვეა აქციები ტარდება და ასეთ რეჟიმში მუშაობა ხომ აქამდეც უნდა ყოფილიყო, ეს იმ სამოქმედო ტაქტიკად უნდა ქცეულიყო, რაც თქვენს საერთო სტრატეგიას აქამდეც სჭირდებოდა, არა?**

— დიახ, ეს ტაქტიკა აქამდეც არსებობდა, მაგრამ გამოკვეთილი არ იყო, ვის რა შეეძლო, ვის რა ხელეწიფებოდა.

**— თქვენმა ალიანსმა ბრძოლის რა ტაქტიკა აირჩია?**

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ საპროტესტო აქციების გაგრძელება აუცილებლად საჭიროა, ჩვენი მომხრეები მიტინგებზე მიდიან, ჩვენც ვმონაწილეობთ, გამოვდივართ, ვლაპარაკობთ. ამის გარდა, ვფიქრობთ, უფრო მეტი აქცენტი უნდა გავაკეთოთ მოლაპარაკებებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების ამ პროცესში ჩართვაზე.

**— ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს გულისხმობთ?**

— ხელისუფლებასთანაც, მაგრამ მოლაპარაკება უნდა იყოს სისტემური და გეგმაზომიერი. ყოველი მოლაპარაკების რაუნდის შემდეგ ჩიხში უნდა შეიყვანო ხელისუფლება, რათა ის ვალდებული იყოს, რასაც დაგვპირდება, ის განახორციელოს. ამ მხრივ კი სწორედ საერთაშორისო მონიტორინგია მნიშვნელოვანი.

**ადა მარშანია:**

**— ქალბატონო ადა, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**



— ვითარება თანდათან რთულდება. ჩვენს ქვეყანაში არათუ ახლა, არამედ ყოველთვის რთული იყო პროგნოზის გაკეთება. ჩვენი საზოგადოება არაპროგნოზირებადია და სწორედ ამიტომ ხშირად ასეთ კრიზისებში ვარდება. აი, ეს გვჭირს ჩვენ.

მართლაც რომ გადამწყვეტ ეტაპზე გადავდივართ. 50-დღიანი ხანგრძლივი აქციები, ბრძოლის დასაწყისი იყო. საერთაშორისო საზოგადოებაც უფრო მიხვდა, რომ ბრძოლა გრძელდება და გაგრძელდება. მეორე ეტაპი უფრო ხანმოკლე იქნება, მაგრამ უფრო აქტიური, ინტენსიური, სამწუხაროდ, ხიფათიანიც.

**— თქვენ მეგობრობთ ლეიბორისტებთან. ხომ არ იცით, რას აპირებს შალვა ნათელაშვილი, რომელიც 26 მაისს გაანაწყენეს?**

— არც ერთი პარტიის წევრი არავარ. როგორც ერთ-ერთი რიგითი ადამიანი, ვფიქრობ, საზოგადოებამ, ხალხმა უნდა იაქტიუროს, ვიდრე ლიდერებმა.

ხშირად მეუბნებიან, რომ ხალხს წინამძღოლი სჭირდებაო, მაგრამ მსურს, ერთი ორგანიზატორი არ გამოიკვეთოს. პოლიტიკოსი ამისთვის მაინც და მაინც აუცილებელი არ არის.

პოლიტიკოსებს გამოკვეთილი პოზიცია აქვთ, მათ უნდათ უკეთესი მომავალი, აქვთ გამოკვეთილი მიზანი — ხელისუფლების ხელში აღება, მათი ყველა ქმედება ამ კუთხით განიხილება. საზოგადოებას კი შეუძლია უფრო ლაღად, თამამად განიხილოს ყველა თემა. ასე უფრო განვითარდება დემოკრატიული ინსტიტუტები.

საზოგადოება პოლიტიკოსებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, მითუმეტეს, რომ ძირითადად ისინი არ მოგვწონს. მე მაგალითად, ათიდან რვა არ მომწონს, მაგრამ რაც არის, ეს არის.

შალვა გაბრაზებული იქნება, ალბათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას 26 მაისს ხალხი დიდი სიყვარულით შეხვდა, რასაც ნამდვილად იმსახურებს. ის მართლა თავდადებულად, უანგაროდ იბრძვის ხალხისთვის და სამი წუთიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ხალხს მისალმებოდა. ვერანაირად ვერ გავამართლებ ამ ფაქტს, მისთვის სიტყვის თქმის საშუალება უნდა მიეცათ.

— ამის გამო, ოპოზიციონერი ლიდერებიც შეწუხდნენ და მოიბოდიშეს კიდეც.

**— ქალბატონო ადა, რას ფიქრობთ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე, საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაზე?**

— აფხაზეთში ბოლო დროს უწინდელთან შედარებით ინტენსიურად შლის თავის ბრჭყალებს რუსეთის იმპერია.

იქ უკვე გამოჩნდნენ ის ადამიანები, ოპოზიცია, რომელიც მიხვდა, თუ რა საშიშროება ემუქრება აფხაზურ ეთნოსს, მათ კულტურას. ამ ფაქტორის გამოყენება საქართველოს მთლიანობის აღსადგენად ადვილი შესაძლებელია, მაგრამ ჯერ აქ ბევრისთვის ისიც კი არ გაცნობიერებულა, რომ ჩვენ უბრალოდ ტერიტორია კი არა, სამშობლოს ნაწილი დავკარგეთ.

სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ შიდაპროცესებით ვართ გაბრუებული და სათანადო ყურადღება აფხაზეთის პრობლემას არც ხელისუფლების და არც საზოგადოების მხრიდან არ ექცევა.

**თეა მოსია**

## მოთმინებითა შენითა

# ხელისუფლებამ ოპოზიციას შეუტია და მკვეთრად დაადასტურა, რომ არსად წამსვლელი არ არის

## „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს



**— ბატონო ნოდარ, ხელისუფლება-ოპოზიციის პირველი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. როგორ შეაფასებდით შექმნილ ვითარებაში, ერთი მხრივ, ხელისუფლების, ხოლო მეორე მხრივ, ოპოზიციის მოქმედებას?**

— რადიკალური ოპოზიციის რეაქცია არაერთგვაროვანი იყო. ერთი მხრივ, დაფიქსირდა ის მდგომარეობა, რომ მხარეებს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვები აქვთ და წინსვლა არ არის, მაგრამ იყო ირაკლი ალასანიას შეფასებაც — შეხვედრა წინგადადგმული ნაბიჯიაო. ასე რომ, შეფასების თვალსაზრისით ოპოზიციაში აზრები გაიყო.

რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან შეფასებას, პრაქტიკულად, ხელისუფლებამ, კერძოდ, სააკაშვილმა, მკაფიოდ აჩვენა, რომ სულაც არ აპირებს გადადგომას. პირიქით, მას შემტევი პოზიციაც კი უკავია. ხელისუფლების პოზიცია ზომიერად შემტევია, მაგრამ თუ საჭირო იქნა, შეტევაზე გადამსვლელიც არის. ამდენად, ის მოლოდინი, რაც ოპოზიციის დაპირებების კვეტექსტში ჩანდა — მიშა უკან დაიხევსო კი არ გამართლდა, პირიქით, დაინგრა. შეიძლება ასეც ვთქვათ — ხელისუფლება არაფერსაც არ უშინდება. პირიქით, მან ოპოზიციას შეუტია და მკვეთრად დაადასტურა, რომ არსად წამსვლელი არ არის.

**— ბატონო ნოდარ, ოპოზიცია ხელისუფლებას ვითარების არაადეკვატურად შეფასებაში ადანაშაულებს. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად შეაფასა ხელისუფლებამ შექმნილი პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი კრიზისი; რამდენად საკმარისია წინადადებები, რაც მან ოპოზიციას ვითარების განსამუხტად შესთავაზა?**

— ხელისუფლებამ ოპოზიციას რაც შესთავაზა, ამაზე მეტს ვერც შესთავაზებდა. რისი რესურსიც ჰქონდა, ის შესთავაზა. ამაზე ნაკლების შეთავაზება კი მას არც უნდოდა. ეს არის საკონსტიტუციო ცვლილებები და, პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, სისტემური ცვლილებები, ოღონდ, არა მიტინგების, გადადგომის ხარჯზე, არამედ სტაბილურ ვითარებაში რადიკალური რეფორმების გატარების ხარჯზე; ცვლილება არა სამთავრობო კადრების სწრაფი გადანაცვლებისა და სწრაფი შეცვლის ხარჯზე, არამედ — სწრაფი რეფორმების ხარჯზე.

თავისი გადასახედიდან ხელისუფლებამ ოპოზიციას შესაძლებლობების მაქსიმუმი შესთავაზა. მესმის, რომ ოპოზიციას მეტის მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება.

**— ოპოზიციამ განაცხადა, რომ გააგრძელებს ბრძოლას. რამდენად რეალურია, ეს ბრძოლა იყოს იმდენად მასშტაბური, რომ ხელისუფლება იძულებული გახდეს, ანგარიში გაუწიოს ოპოზიციის მოთხოვნებს?**

— მგონი, ნელ-ნელა იმსხვრევა მითი იმის შესახებ, რომ მიტინგზე ხალხის მრავალრიცხოვნების შემთხვევაში გამარჯვება მიღწევადია. მითი — „თუ ბევრ ხალხს შეყრი, მიშა წავა“ —ინგრევა. ოპოზიციამ აქციაზე კიდევ უფრო მეტი ხალხიც რომ მიიყვანოს, ამ ბრძოლას პერსპექტივა არა აქვს, რადგან ოპოზიციის მიერ აღებული მხოლოდ და მხოლოდ ერთი, მონო იდეა — „საქართველო სააკაშვილის გარეშე“ — თავისი არსით ნეგატიურია, ანუ რაღაცის უარყოფაა და, შესაბამისად, არ გამოვა. შევარდნაძის დროს ლოზუნგი — „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ გამოვიდა, მაგრამ ვაი ამ გამოსვლას, მივიღეთ უარესი.

ეს ლოზუნგი მაშინაც ბერძენიშვილის ლოზუნგი იყო და ახლაც, მგონი მისი ინიციატივაა. ასე ვთქვათ, იგი თავისსავე ძველ იდეას ავითარებს. ეს იდეა დღეს, პოლიტიკური თვალსაზრისით, პრინციპში, სუსტი და უპერსპექტივო... რადგან ნეგატიური მოწოდებაა, ანუ პოზიტიურს არაფერს შეიცავს.

არც პროგრამაა, არც ის ჩანს, რომ რამე განახლდეს და ასე შემდეგ. ოპოზიცია აცხადებს, თუ ვინიცობაა, შევცვალეთ ხელისუფლება, მერე მოვილაპარაკებთ, თუ როგორი იქნება ხელისუფლება და ძალაუფლება როგორ განაწილდება. კახელებს აქვთ ერთი გენიალური ანდაზა — „მკაში გარიგებას, ხვნაში გარიგება სჯობიაო“, ანუ ჯერ ხვნაში თუ არ გარიგდი და გადაწყვიტე „ვისი რა არის“, მკაში პარტნიორები ერთმანეთს დაჭამენ. ოპოზიცია აცხადებს, ჯერ სააკაშვილი გადავაყენოთ და მომავალზე მერე ვილაპარაკოთო. ასეთ გზას უპერსპექტივობამდე მივყავართ. როცა პროცესი ნეგატივის კუთხით იგეგმება, მას მხოლოდ ნეგატივამდე მივყავართ.

სამოქალაქო დაპირისპირებას და ცემა-ტყეპის ხელმეორედ განმეორებას არ გამოვრიცხავ. როცა „უცნობი“ პოლიციის სამართველოს ლოგეზე გადაძვრა და, პრაქტიკულად, ტრიგერის, ანუ ბიძგის მიმცემის როლი შეასრულა, იმ დროისთვის ვითარება ზღვრამდე იყო მისული. ბუნებრივია, ცუდია, რომ ცემა-ტყეპა იყო, ორმა ადამიანმა თვალი დაკარგა და ერთი ადამიანი ინვალიდი გახდა. სააკაშვილი ყოველმხრივ შეეცდება პრაგმატულად მოიქცეს და აქციის იმ გაგებით ძალისმიერ დაშლაზე არ წავიდეს, რათა ამ პროცესს რაიმე მსხვერპლი მოჰყვეს.

გამოჩნდა, რომ სააკაშვილს დასავლეთიდან კარტ-ბლანში აქვს მიღებული და მსოფლიოს უნდა აჩვენოს, რომ ახლა ყველაფერს ისე გააკეთებს, რომ დემოკრატიამ იზეიმოს. ახლა სააკაშვილის ინტერესებში ძალის გამოყენება არ შედის და შეეცდება, მეტი მოითმინოს. სააკაშვილმა იცის, რაც უფრო მეტს მოითმენს, მეტს მოიგებს და ოპოზიცია მით უფრო მწყობრიდან გამოვა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ლიდერები მიტინგზე მედგრად საუბრობდნენ, ჩანდა, რომ ისინი ცოტა განიარაღებულებად გამოიყურებოდნენ.

**ესაუბრა**
**კობა ბენდელიანი**

## რა ხდება?

***იმ პერიოდში, როცა საბჭოურ რეჟიმს ვამსხვრევდით და მშველელად დემოკრატიას ვუხმობდით, მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი რჩეული გამარჯვების ფინიშამდე მისაღწევად ამდენი მიხვეულ-მოხვეული და ჩახლართული გზებით გვატარებდა. ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოში ავტორიტარული მმართველობის დასამსხვრევად, დაკარგული თავისუფლებისა და შელახული ღირსების აღსადგენად ქუჩებში ასეულ ათასობით გამოსულ ადამიანთა საპროტესტო რისხვას ჩვენი მეგობარი ამერიკა და ევროპა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების მორიგ გამარჯვებად ჩათვლიდა და ამ უჩვეულო დემოკრატიის ავტორის — სააკაშვილის სარეიტინგო თამასას კიდევ ორი ერთეულით (63-დან 65 პროცენტამდე) ასწევდა(!?). რაც მთავარია, ამით ფრთებს შეასხამდა ისედაც კოსმოსში მფრინავ პრეზიდენტს, რომელსაც დედამიწაზე კი არა, საკუთარ ბინასა და რუდუნებით ნაშენებ რეზიდენციაშიც აღარ ედგომება, ფანტომასივით ხან ზეციდან მოევლინება ანცი ბიჭუნას უსაქციელობით განაწამებ ქვეყანას და ხან ქვესკნელიდან, ხან თელავში ამოყვინთავს და ხანაც ბათუმში, სადაც მსოფლიოს ახალი „თავისუფლების შუქურის“ მშენებლობის ავტორად მოევლინა. ერთი სიტყვით, მიშა თავის სტიქიაშია, უსამსახუროდაც მშვენივრად ერთობა, მოცალეობის ჟამს ტყიბულში „რწყილივით ხტუნაობს“, უქმე დღეს თბილისში მოსწავლეებს ამეცადინებს და ევროპაში დიდ საფეხბურთო მატჩებზე დასწრებასაც ახერხებს.***

# ბენდუქიძემ ახალ „ქერის ორმოს“ მიაგნო

## ლარი მიმოქცევიდან ამოვარდება?

იჩივლოს ბენდუქიძემ, რომელმაც თანამდებობაც დაკარგა და საკუთარი წონისა თუ სიზარმაცის წყალობით შინიდან გარეთ ვეღარ გამოსულა, თორემ პრეზიდენტმა ქვეყნის საპროტესტო განწყობა, როგორც იტყვიან, სიმებიანი ჩოხასავით მოირგო. თუმცა ამ საყოველთაო არეულობის ჟამს არც ბენდუქიძე გამოიყურება მთლად ხელმოცარულად, მან ისარგებლა მომენტით და მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკა მიწასთან გაასწორა, მიწები, წყლები, მთები, ჰესები თუ თესლები ფულად აქცია და საკუთარ ჯიბეში ჩაიტენა, ამჯერად უკვე თავად ფულს — ეროვნულ ვალუტას, ანუ ჩვენს სათაყვანებელ ლარს მისდგა და საკუთარი ბაზრიდან განდევნა მოუწადინა. მე თქვენ გეტყვით, უნიჭოა ან გამოცდილება აკლია და ლარს მშობლიური ქვეყნიდან გასაძევებლად მიზეზს ვერ მოუძებნიდა, ან კიდევ ნამუსი შეაწუხებდა და სირცხვილით რუმბივით გატიკნული ლოყები აეწვებოდა!

ჰოდა ამ ჩვენმა ნამინისტრალმა, მილიონებით და უნამუსობით გაძეძგილმა ბენდუქიძემ, ისე რომ ტვინი მაინც და მაინც არ უჭყლეტია, ახალი ინიციატივა გამოძებნა, თანაც ეს უკანასკნელი, ეჭვი რომ არავის აელო, გლობალურ ეკონომიკურ კრიზისსა და უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოტანის დეფიციტს დაუკავშირა. ვერა ხვდებით, რატომ იკლო საქართველოში ინვესტირების ტალღამ? — დასვა კითხვა ქვეყნის ბედილბლით დამდუღრულმა ჩვენი დროის თათქარიძემ და პასუხი თავადვე გასცა: იმიტომ, რომ ინვესტორებს უჭირთ თავიანთი ვალუტის ჩვენ ვალუტაზე გადახურდავება. ჰოდა რატომ უნდა შევაფერხოთ ისინი ამ უბრალო მიზეზის გამო, ამოვიღოთ,ბატონებო მიმოქცევიდან ლარი, მის მაგივრად მივუშვათ საკუთარ ნებაზე ევრო და დოლარი და ნახავთ რა უცებ აღმოვჩნდებით ქერის ორმოშიო! — გვმოძღვრავს ბენდუქიძე.



ისე, ჩვენი მხრივ, დიდი უმადურობა რეფორმების უჭკვიანესი და უგონიერესი მართვით ქვეყნის ეკონომიკას აყვავებდა (მათ ეგონათ, რომ ანგრევდა!ძ და ახლაც იგივეს იმეორებენ. ეკონომიკის ექსპერტს სოსო ცისკარიშვილს, მაგალითად, ჰგონია, რომ ლარის საკუთარი ქვეყნიდან გაძევების ახალი ინიციატივის უკან ბენდუქიძისა და ხელისუფლების ქვენა ზრახვები და უწმინდური მიზნები იმალება. „სამწუხაროა, აცხადებს ცისკარიშვილი, რომ უთანამდებობო ბენდუქიძე კვლავ ურევს საქართველოს მთავრობას ტვინს და უკვე საჯაროდ იქნებოდა, არ დაგვეჯერებინა ქართული „ეკონომიკის მამად“ აღიარებული ექსმინისტრისთვის, რომელმაც ბოლო წლებში ქერის ორმოში ჯდომის უმაგალითო, მე ვიტყოდი, უმდიდრესი გამოცდილება დააგროვა. ახლა მას სრულიად გულალალად და უმწიკვლოდ სურს ამ გამოცდილებას მთელი ქვეყანა აზიაროს და წინააღმდეგობა რატომ უნდა გავუწიოთ?!

თუმცა უმადურ ადამიანებს რა გამოლევს ამ დუნიაზე. ჰოდა ისინი, უმადური და ანგარებიანი ოპონენტები მაშინაც ნერვებს უწეწავდნენ ბენდუქიძეს, როცა სახელმწიფო მინისტრის სკამიდან უპირისპირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელიც დარწმუნდა, რომ ჩვენი ქვეყანა ღირსია ჰქონდეს საკუთარი ვალუტა“. ექსპერტის აზრით, ეს „ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ჩვენი ეკონომიკის გენიალური მამა რუსულ რუბლს შემოუძღვეს საქართველოში“.

**აი თურმე რა ყოფილა! ბენდუქიძეს, რომელმაც საქართველოს მთელი სიმდიდრე და ენერგეტიკული რესურსები რუსეთს მიჰყიდა, ახლა ბუნებრივია სურს ეროვნული ვალუტა ამოაგდოს მიმოქცევიდან და ქართულ ბაზარზე რუსული რუბლი გააბატონოს. საამისო მოტივიც გამოძებნა — ცხინვალსა და სოხუმში რუსული ფული ტრიალებს, ამიტომ თუ მათთან ახლო ურთიერთობის დამყარება და ნდობის აღდგენა გვსურს, ჩვენც რუსული რუბლი უნდა გავუშვათ მიმოქცევაში.**

ყველაფერი გარკვეული და ნათელია, გარდა ერთისა — რა აზრისაა ამის თაობაზე ხელისუფლება, უფრო სწორად, სააკაშვილი, რომელიც ქვეყნის ერთპიროვნული მმართველია? როგორც წერილის შესავალში ვთქვი, პრეზიდენტს ადრეც არ უყვარდა მიწაზე სიარული (ერთთავად ჰაერში დაფრინავდაძ და მით უფრო ახლა, როცა ქუჩის დემონსტრანტები საკუთარ ბინაშიც აღარ უშვებენ, ბენდუქიძეს სალაპარაკოდ სად უნდა შეხვდეს, — ქერის ორმოში? ალბათ ეს ვარიანტი უფრო მისაღებია (ოპონენტები ვერ მიაგნებენძ, მაგრამ აქვე დგება მეორე საკითხი — სააკაშვილი, ისევე როგორც პოლიტიკაში, ეკონომიკასა და ფინანსებში აბსოლუტურად ვერ ერკვევა და ბენდუქიძეს როგორ შეეკამათება, თანაც ამდენი ტერიტორიების დამკარგავი რაღა ლარის დაკარგვისას გაჯიუტდება?

**ასე რომ არხეინად იყავით, ხვალ შეიძლება საქართველოს ბაზარზე ვიხილოთ დოლარიც, ევროც, რუბლიც და პესოც, ოღონდ ერთი პირობით — ყოველივე ეს სასარგებლო უნდა იყოს ბენდუქიძე-სააკაშვილის დუეტისთვის. ქვეყანა? ქვეყანა თუნდაც წყალს წაუღია!**

**ოთარ ხუციშვილი**

მწარე ლუკმა

# „ელიტა“ და „მაიმუნები“...

## პასუხი ბატონ შალვა ნათელაშვილს



„საქართველოს რესპუბლიკის“ 20 მარტის ნომერში დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელ შალვა ნათელაშვილთან. ღმერთია მოწმე, მთელი ამ ხნის განმავლობაში მაქსიმალურად თავს ვიკავებდი საზღვარგარეთ წასული ქართველების ზემოჩამოთვილ „მაიმუნობათა“ (სწორედ ასე უწოდა რესპონდენტმა ამერიკაში ქართველთა ყოფასძ ჩამოთვლა-შეხსენებისგან. მით უმეტეს, არაერთხელ დამიწერია ამ უჩინართა „სამშობლოს გამყიდველობაზე“, როგორც ბ-ნმა შალვამ განაცხადა. ჰო, მართლა, ამ ამბების მოყოლისას ერთი „ფრიად მნიშვნელოვანი“ რამ დამავიწყდა: არ მიმითითებია, ოჯახისა და ქვეყნის ფიზიკური გადარჩენისთვის, საკუთარ პროფესიაზე თუ სხვაგვარ თვითრეალიზაციაზე „ნებაყოფლობით“ უარნათქვამი, შორს გადახვეწილი თანამემამულეების პარტიული მიკუთვნებულობისა და პოლიტიკური სიმპათიების შესახებ. თუმცა, არა მგონია, ბ-ნ შალვას დიდად აწუხებდეს იმის გარკვევა, არალეიბორისტი „ჰაუსკიპერი ლელას“ მიერ სამშობლოში გამოგზავნილი ფულით თუ პოზიციონერი გიორგის სიმწრითა და ოფლით ნაშოვნი დოლარებით მოღვაწეობს მისი პარტია. ისევე როგორც არ დაინტერესებულა იგი აქ მყოფი ქართველების უფლებებით, ლეიბორ ანუ სამუშაო პირობებითა და ყოველდღიური რუტინით. როგორც ჩანს, ამერიკიდან გამგზავრებისას ევროპაში მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის „ლეიბორ-კონდიციამ“ მიიპყრო მისი ყურადღება...

აშშ-ში პარტიები კერძო შემოწირულობებით, მდიდარი, არც ისე მდიდარი თუ ღარიბი ადამიანების მიერ ნებაყოფლობით გაღებული თანხებით (თუნდაც ერთი დოლარითა თუ ცენტითძ არსებობენ და არა ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულით. ქვეყნის ბიუჯეტი დგება გადასახადების გადამხდელთა თანხიდან და ნაწილდება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს მიერ. საქართველოში კი პარტიები სამშობლოში მყოფი რიგითი ქართველებისა თუ ამერიკაში, საბერძნეთში, თურქეთში, იტალიასა და ლიბიის უდაბნოში თანამემამულეთა მიერ „მოგროვილი“ და სამშობლოში გადაგზავნილი თანხით შევსებული ბიუჯეტიდან არსებობენ. თანაც, რა გასაკვირი არ უნდა იყოს, „შრომის პარტიის“ ქართველი წარმომადგენლები პარლამენტის წევრობის ხელფასსაც იღებენ, თუმცა იქ სულაც არ მუშაობენ. როგორც ვხედავთ, საქართველოში „ვინც არ მუშაობს, ის ჭამს“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — ლეიბორისტი პარლამენტარები. ამერიკელს ერთი თვე რომ უხსნა ამგვარი ქართული პრინციპულობის „სიკეთე“, მაინც ვერ გაიგებს: რანაირად, როგორ, რისთვის, რატომ, რა მანქანებით, რომელი კანონითო — გაუკვირდება. იმასაც ვერ გაიგებს, რატომ ცდილობს პარტია იმთავითვე წამგებიანი განცხადებებით ელექტორატის „ჩამოშორებას“, მაშინ როცა თუ მას არსებობა და მოღვაწეობა უნდა, პროფესიულად დაგეგმილი მოდერნიზაციული პროგრამებით, წარმატებული (არა მხოლოდ პოლიტიკურიძ პროექტებით, ქველმოქმედებითა და თუნდაც თვითპიარით ელექტორატი უნდა მიიზიდოს. იმიტომ ხომ არა, რომ მიიზიდავს თუ განიზიდავს, ფულს თავის ჯიბეში მაინც მიიღებს?

ამას წინათ, მედიის გრძელცხვირიანობის დამსახურებით, ბრიტანელი პარლამენტარების, მათ შორის ლეიბორისტების გაუთვალისწინებელი ხარჯები საქვეყნო სკანდალისა და სპიკერის გადადგომის საბაბი გახდა. პირადი დამლაგებლების მომსახურებაზე ინგლისელი გადასახადების გადამხდელების ფულის ხარჯვამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ უსიამოვნო ამბავს ოკეანისგადაღმა სკანდალიც სინქრონირებს. ამერიკული მედია და არა მარტო იგი, აშშ-ის პარლამენტის თავჯდომარის ნენსი პილოსის საზღვარგარეთ მოგზაურობის დეტალებსაც დიდხანს არკვევდა, ისევე როგორც, იმას, იცოდა თუ არა დემოკრატმა ქალბატონმა გუანტანამოს ციხის პატიმარი ტერორისტების წამების ამბავი. აღმოჩნდა, რომ იცოდა. სკანდალი ძალას იკრებს. ნენსი პილოსი დემოკრატიული პარტიის წევრია, არადა დემოკრატი ობამა ტერორიზმში ეჭვმიტანილთა წამების წინააღმდეგ გამოდიოდა. ეს კი პარტიის შიგნით შეუთანხმებელ ნაბიჯებზე მეტყველებს (ამაში სულ ცოტა ხნის წინათ ოპონენტები რესპუბლიკელებს მიუთითებდნენძ, რომელიც გამარჯვებული პარტიისთვის 2009 წლის ახალი ამბავი არ უნდა იყოს. ახალ პრეზიდენტ ბუშისაგან განსხვავებით ტერორისტების წამებას დაუშვებლად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურების ცნობით ამ „არასაუწყებო ქმედებით“ რამოდენიმე ტერაქტის ალაგმვა მოხერხდა, ხოლო ათეულობით ათასი ამერიკელი მინი-11 სექტემბერს გადაურჩა.

ქვეყანა მსჯელობს, კამათობს, აანლიზებს, იკვლევს... ობამას ანტიგუანტანამისტური განწყობის მიუხედავად, იგი არ ემხრობა წამების მამხილებელი ფოტოსურათების გამოქვეყნებას. ამის გამო მას სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანება“ (ACLUძ უჩივლა. მანამდე კი წარმოსახვის შესაქმნელად ტელევიზიამ წამების „ციფრული მულტფილმი“ გვიჩვენა. თემიდას უწყებამ კი ობამას სურათების გამოქვეყნებაზე დადებული აკრძალვა მოხსნა.

ამერიკაში პოლიტიკური პარტია მარტო პრესკონფერენციებით არ არის დაკავებული, არამედ თვითკრიტიკისთვისაც „რჩება დრო“, ხოლო პარტიისა და მისი წევრების ფსიქიკური და ეკონომიკური სიჯანსაღის შენარჩუნებაში მას სწორედ კონკურენტი პარტია (პარტიებიძ ეხმარება (ეხმარებიანძ. პარტიული ბოსის ლექსიკა და მოქმედება, როგორც წესი, თავადვე პარტიის შიგნით გაკიცხვის, დებატების, არჩევნების ჩატარებისა და აწონ-დაწონვის საგანი ისევე ხდება, როგორც სხვა პარტიის კოლეგათა „მარგალიტები“ და ლაფსუსები.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის უცვლელი ხელმძღვანელი კი ბრავადით აცხადებს, რომ გაეროს, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა შეთანხმებებით დაფიქსირებული გადაადგილების უფლებას შეუზღუდავს ანუ საქართველოში არ შემოუშვებს გარკვეული ნიშნით „დაღდასმულ“ ადამიანებს. მისი აზრით, ეს პოლიტიკურად არასაიმედო ხალხი ამერიკაში მყოფ ქართველთა 90 პროცენტს შეადგენს. თუ არაოფიციალური მონაცემებით ამერიკაში (უხეშად რომ ავიღოთ რაოდენობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელიძ 200 000 საქართველოს მოქალაქეა, ამ რაოდენობის 90 პროცენტი 180 000 გამოდის. როგორც ჩანს, ამერიკაში სწორედ ამდენი სამშობლოს მოღალატეა, ხოლო დანარჩენს ანუ 20 000 -ს ლეიბორისტებისა და მეტ-ნაკლებად ნათელაშვილის მიერ მოწონებული პარტიის წევრთა მოწონება ერგო. ცივილიზებულ ქვეყანაში ამგვარი სიტყვის წარმოთქმისთანავე პარტიის თავკაცი თავის პოლიტიკურ რეპუტაციას მძიმეს და მრავალწერტილს კი არა, შავ წერტილს დაუსვამდა და ისეთ „გაუგებრობაში“ აღმოჩნდებოდა, რომ მის ქვეშ უგრძნობი სავარძელიც კი თვითნებურ ყანყალს დაიწყებდა. მისი „მარგალიტები“ კი, როგორც მინიმუმი, შიდაპარტიული დებატების საგანი გახდებოდა და იგი სახალხოდ ბოდიშს მაინც მოიხდიდა. თუმცა მთავარი ლეიბორისტის „განაჩენმა“, როგორც ჩანს, მხოლოდ ამერიკაში მყოფი ქართველები გაალიზიანა (იხ. სტატიის მეორე ნაწილიძ. ინტერვიუს გამოქვეყნებიდან აგერ უკვე 2 თვე გავიდა... ობამა კი თავისი პრეზიდენტობის დროს „ბოდიშს“ უკვე მესამედ იხდის. ერთ-ერთი ასეთი მობოდიშების მიზეზი გახლდათ ის, რომ მას ამერიკულ „ღამის შოუში“ ხუმრობით ნათქვამი „უწყინარი“ ფრაზა არ მოუწონეს. პრეზიდენტმა სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე იხუმრა, რაც საზოგადოებამ მხოლოდ უილბლო ხუმრობად არ ჩაუთვალა, ამიტომ რეპლიკას საკმაოდ ხისტი რეაქცია მოჰყვა.

ამბობენ პეტრე პირველმა სანკტ-პეტერბურგი ძვლებზე ააშენა-დადგა და ეს ქალაქიც იმისთვის მოიფიქრა, რომ რუსეთს ევროპაში „ფანჯარა გაეჭრაო“... თბილისი და არა მარტო თბილისი თავისი სამშენებლო ბუმით, გზებითა და მაგისტრალებით, პოლიციითა და ჯარით, სასტუმროებითა თუ ბანკებით, ტელე და სხვა კომუნიკაციებით, აშენებული თუ ამჟამად „გაშეშებული“ შავ-თეთრი კარკასებით, დენის, გაზის, წყლისა და სატელეფონო-საინტერნეტო გადასახადებით, წამლებსა და ოპერაციებში გადახდილი თანხებით მთელს მსოფლიოში მიმოფანტული ქართველების სიცოცხლის, ოფლის, სიმწრის, გაჩენის დღის წყევლისა და ლოცვის (ლამის ყველა: ათეისტი თუ მორწმუნე ლოცვების პატარა წიგნს „ლოცვანი — ყოველდღიური საჭიროებისათვის“ ჯიბითა და ჩანთით დაატარებსძ, ნევროზ-დეპრესიების ფასად დგას. სტატისტიკის მშრალი ციფრების უკან ჩამარხული ამ „ძვლების“ პატრონების სახელ-გვარები არასოდეს შევა არც სასკოლო სახელმძღვანელოებში და არც კლასგარეშე ტექსტებში. ყველაზე საუკეთესო ვარიანტში, ისინი შესაძლებელია დისერტაციის თემად გადაიქცნენ, ანდა მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმის სცენარად. ჩემი არაპროფესიული გათვლებით, ამერიკაში წამოსული ერთი ადამიანი, როგორც მინიმუმი, სამშობლოში საშუალოდ 5-6 ადამიანს მუდმივად არჩენს (არ ვგულისხმობ, მეზობლებისთვის თუ ნაცნობ-მეგობრებისთვის საჩუქრად გაცემულ წვრილ-წვრილ თანხებსძ, თორემ არიან ისეთებიც, რომლებიც 10-12 ადამიანსაც კი მუდმივად ეხმარებიან.

3 წლის წინათ საქართველოს მაშინდელ განათლების მინისტრს ჰკითხეს: „ფასიან სასწავლო სისტემაზე ამ ღარიბი ქვეყნის ღატაკი მშობლები როგორ გადავლენ, სწავლის საფასურს როგორღა გადაიხდიანო?“.. რაზეც მან უპასუხა: „იშოვიან, მაინც იშოვიანო“... ჰოდა, დაიძრა საზღვარგარეთ საშოვარზე ჯერ კიდევ არ გამგზავრებული საქართველოს ლამის მეშვიდედი, მეექვსედი, მეხუთედი თუ მეოთხედი... სიმწრით იშოვეს; სიმწრით მოაგროვეს; სიმწრით იხდიან; ქვას გახეთქენ და თავისიანს არ გაუჭირვებენ; მაინც იშოვეს, მაინც გადაიხადეს; მაინც...

საქართველო იცვლება. ქვეყანა საბჭოური ეკონომიკის სისტემიდან, „შოკური თერაპიიდან“, კოოპერატივის ნამცხვრებიდან ვიდრე სამშენებლო კომპანიებამდე აგერ უკვე 20 წელიწადია ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობს გადავიდეს რაღაც განსხვავებულზე. ჯერ არავინ იცის რა ერქმევა მას: საბაზრო ეკონომიკა, კაპიტალიზმი, საშუალო კლასის თუ ლუმპენების დაბადება თუ სოციალიზმის სკანდინავიური ვარიანტი. მაგრამ სანამ საქართველოს „მაღალ წრეში“ მიიღებენ და სანამ საქართველოში გადახდის საშუალებად ევრო დამკვიდრდება, უცხოეთიდან გაგზავნილი დოლარის, ცენტის, ევროს, ევროცენტის უკან კვლავ დგას და დიდდება დანგრეული ოჯახებისა და განადგურებული ჯანმრთელობის, შელახული თავმოყვარეობის, მივიწყებული პროფესიის, თვითრეალიზაციის დაკარგული შანსის ცოცხალმკვდარი რიგი, რომლის რუტინა ხელფასიან საკანში გამომწყვდეული ყოფა და „დაკარგულ სამოთხეზე“ თუ „ნაპოვნ პურის ფულზე“ დარდის ჩვევაა. ქართველი არალეგალის — მომვლელის, დამლაგებლის თუ ძიძის მარჯვენა ზრდის სხვის შვილებს ამერიკაში და თავისებს საქართველოში; აშენებს გზებსა და სახლებს ამერიკაში და თავის გზასა და სახლს საქართველოში; უვლის მოხუცებს ამერიკაში და თავის მოხუცებს საქართველოში; საწვავს უსხამს მანქანას ამერიკაში და საწვავს უსხმას თავისიანებს საქართველოში; ბინის ქირას იხდის ამერიკაში და ბინის ქირას იხდის საქართველოში... საბერძნეთიდან, იტალიიდან, ავსტრიიდან ფული ამერიკაშიც და ევროპის ქალაქებშიც იგზავნება. ქართველი დედები და მამები, მამიდები და ძმები ამერიკაში შვილებსა და დისშვილებს სწავლას უფინანსებენ. ფულს საქართველოშიც აგზავნიან, ფულს დასავლეთის უნივერსიტეტებშიც აგზავნიან, თავად კი ყველაფერ იმაზე აკეთებენ ეკონომიას, რაზეც შეიძლება და არ შეიძლება...

თუ ერთი „არშემოსაშვები“ ქართველისგან ეკონომიკურ „გენეოლოგიურ ხეს“ ავაგებთ ხაზინისკენ მიმავალი განტოტებებით, აღმოჩნდება, რომ ქვეყანა, პრეზიდენტი, პარლამენტი, სასამართლო, სასწრაფო თუ სხვა რამ, სწორედ ამ „მაიმუნებით, რომლებიც მაიმუნობენ“ სულდგმულობს, მაჯა უცემს და, შესაბამისად ის პოლიტიკური პარტიებიც ფინანსდებიან, რომელთა ერთ-ერთმა ლიდერმა გონორით განაცხადა „ჩვენ ვართ ელიტაო“...

დანარჩენნი, ანუ ისინი, ვინც „მუშაობს და ისე ჭამს“, მაიმუნები არიან. თუ ამ პოლიტიკურ-დარვინულ განზოგადებას, მაღლი-უმადურობის ფესვებსა და ევკლიდურ მათემატიკას თავს დავანებებთ, აღმოჩნდება, რომ „პოლიტიკური ელიტა“ ჭამს, სვამს, მკურნალობს, პრესკონფერენცია-ბრიფინგობს და უცხოეთში დადის სწორედ ამ „ზოოლოგიურ არსებათა“ ნაშრომ-ნაჯაფით. ამიტომ, ქალბატონებო და ბატონებო, სანამ იმ ჭაში ჩააფურთხებთ, საიდანაც წყალს სვამთ, ჯერ კარგად დაფიქრდით. რადგან, როგორც ზემოთ გამჟღავნებული „ჭეშმარიტებიდან“ გაირკვა, მხოლოდ ჩაფურთხების უფლების მქონე „ელიტას“ ძალუძს ტვინის ფრიად მნიშვნელოვანი ფუნქციის — ფიქრის უნარის — ამუშავება და „გაჭრილი ფანჯრიდან“, სარკმლიდან თუ ხვრელიდან დასავლური სიოს შეგებება. არადა ვინ იცის, სიო, ქარი თუ ქარბორბალა საიდან დაჰბერავს და თავისივე სანერწყვე ჯირკვლის პროდუქტს ბუმერანგად ვის როგორი დოზით დაუბრუნებს.

შალვა ნათელაშვილის გულის ოპერაციის შესახებ ქვეყანამ გაიგო. მაგრამ არავინ იცის, რამდენი „უგულო“ თუ უგულოდ გულმტკივანი, გულდაძმარებული, გულდადუღებული, გულამოვარდნილი, გულდაფლეთილი, გულგანწვრილებული, გულმხურვალე, გულდასერილი, გულამოკვეთილი, გულდადებული, გულგამეხებული, გულმწუხარე, გულგახეთქილი, გულგამოჭმული, გულმოკლული, გულდაწყვეტილი საქართველოს გულისმიერი გულშემატკივარი დადის ოკეანის აქეთ თუ იქეთ, ვერც ოპერაციას იკეთებს და ოპერაციაც არ შველის. ამ ძვირადღირებული სამედიცინო ჩარევის განხორციელებაში, დარწმუნებული ვარ, იმ „ამერიკელი ქართველი მაიმუნების“: ლელას, თეას, გიორგის, ლალის, ელისოს, ხათუნას, ერეკლეს, ცირას, ნინოს და სხვათა კუთვნილი დოლარი თუ არა, ცენტი, ცენტი თუ არა თეთრი მაინც ხომ იქნება? მათი „გულქვაობის“ შესახებ კი გულდათუთქულმა ნიკო ლორთქიფანიძემ ერთი საუკუნის წინათ ყოველგვარი ყალბი პათეტიკის გარეშე ეს სევდიანი ამბავი გვიამბო:

„მოკვდა.

**დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობს არ მოუკითხავს; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა: დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.**

**მოკვდა უცხოეთში.**

**— ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.**

**ცხედარი გაჭრეს.**

**პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:**

**—შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!**

**ერთმანეთს შესცქეროდნენ.**

**— ბატონებო, გული, გული, სადღაა?**

**გულის მაგიერ ფერფლიღა დარჩენილიყო.**

**დეპეშით გაგებული უბედურებისგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელი შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიტირე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?**

**კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:**

**— მე დავაჭკნე!**

**— მე დავწვი! — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.**

**სიტყვები არავის გაუგონია“....**

**ია მერკვილაძე,**

**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 105.**

◎ ეპიტაფია



# საქართველოს ფიცვერცხლნაჭამი პოეტი მოუკვდა

**ბოლო „ლიტერატურნაია გაზეტაში“, რომელიც თბილისში მოვიდა, დიდი ნეკროლოგია დაბეჭდილი პოეტ ალექსანდრე მეჟიროვის გარდაცვალების გამო.**

პოეტი 23 მაისს 86 წლისა გარდაიცვალა ნიუ-იორკში, სადაც თავისივე ყოფილ მოწაფეთაგან და მეგობართაგან გახიზნულმა თითქმის ორი ათეული წელიწადი მარტოობაში გაატარა.

ეს ის ალექსანდრე მეჟიროვია, ვინც თავის უთუოდ დიდ პოეზიასთან ერთად მთელი სიცოცხლე დიდოსტატურად თარგმნიდა ქართულ პოეზიას, ვისთვისაც თბილისი უსაყვარლესი ქალაქი იყო, სადაც მასპინძლებად ეგულებოდნენ გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი და ბევრი სხვაც, რასაკვირველია. არა მგონია, უცხოელ ავტორთაგან ვინმეს უკეთ სცოდნოდა ვაჟა-ფშაველას ფასი, ვიდრე მეჟიროვმა იცოდა და ბევრ ქვეყანაში სწორედაც იმისგან იგებდნენ ამ ქართველი ჰომეროსის სახელს...

ვის არ ახსოვს, გასული საუკუნის 70-იანი წლები, როცა მეჟიროვმა ბრწყინვალედ თარგმნა ირაკლი აბაშიძის მთელი „რუსთველის ნაკვალევზე“, როგორც „ინდოეთის გზებზე“, ისე „პალესტინა, პალესტინა“ (ასე ჩინებულად მეჟიროვმა, ალბათ, იმიტომაც მთარგმნა, რომ ენის ბორძიკით მებიძაშვილებაო, ხუმრობდა ხოლმე ირაკლი) და საერთო ჯამში, მგონი, ასი ათასობით ტირაჟით დაიბეჭდა მოსკოვშიც, თბილისშიც, ლენინგრადშიც, რაც უიშვიათესი შემთხვევა იყო საერთოდ საგამომცემლო საქმეში. მით უმეტეს, დღევანდელი საზომით თუ მივუდგებით, როცა წიგნის ყველაზე დიდი ტირაჟი ორას ცალს არ აღემატება.

ამ გულისტკივილიანი სტრიქონების დაწერა იმ ამბავმაც გამაბედვინა, რომ ალექსანდრე მეჟიროვს, ვლადიმერ სოლოუხინთან ერთად, სწორედ ზემოხსენებულ 70-იან წლებში მოსკოვში ნიკოლოზ ტიხონოვის ბინაში შევხვდი, სადაც იმ წერილის წამოსაღებად მივედი, რომელიც ტიხონოვმა საგანგებოდ გაზეთ „კომუნისტისთვის“ დაწერა ირ. აბაშიძის რუსთაველური ციკლის მეჟიროვისეული თარგმანის გამო, წერილს „შეხვედრა რუსთაველთან“ ერქვა და გარდა ჩვენი გაზეთისა, მალე „მერანის“ მიერ რუსულად გამოცემული წიგნის წინასიტყვაობადაც დაიბეჭდა (ლევან ცუცქირიძის მხატვრობით). ეს შეხვედრა კი იმ დიდმა სიყვარულმა გამახსენა, რომელიც მაშინ საქართველოს მიმართ პოეტის სევდიან თვალებში ამოვიკითხე და ურომლისოდაც შეუძლებელია ერთი ხალხის პოეზიის ისე თარგმნა, რომ სხვა ხალხებისთვისაც გასაგები და ახლობელი გახადო.

ბევრი, ძალიან ბევრი საუკეთესო ლექსი და ტაეპი დარჩა ალექსანდრე მეჟიროვს, მაგრამ არა მგონია, რომ სამშობლოსგან გულნატკენ და შორს გადახვეწილ რომელიმე პოეტს ოდესმე ეთქვას ასეთი მართლაცდა გულის შემძვრელი ოთხძალი:

**Может родина сына обидеть,**
**Может даже камнями побить,**
**Можно родину возненавидеть,**
**Невозможно её разлюбить.**

ნამდვილად მეამა და კეთილის მანიშნებლად მეჩვენა, რომ ამ ჩვენს მავანთაგან არაერთგვაროვნად ჩაბნელებულ დროში (ქურდებს ხომ ბნელი ღამეები უყვართ!), როცა არცთუ იშვიათად ჭირს ჭეშმარიტად კარგისა და ავის გარჩევა, ჩვენი ფიცვერცხლნაჭამი რუსი პოეტის ნეკროლოგს, სხვა ეროვნების ცნობილ მადლიერ ადამიანებთან ერთად, ხელს აწერენ ქართველი მწერლებიც, კერძოდ, ჭაბუა ამირეჯიბი, მიხეილ გიგოლაშვილი, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ალექსანდრე ებანოიძე, აგრეთვე თბილისელი რუსულენოვანი პოეტი გლან ონანიანი.

მგონი, ჭკუათმყოფელთათვის ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რატომ უჭირს დღეს კეთილს ბოროტის ძლევა... ადამიანები ჩვენი სიბრიყვითა თუ სირეგვნით ან იქნებ სულაც ჩვენი ჭკუამოკლეობით ხშირად არსებას ვუმოკლებთ კეთილს, არადა, რუსთაველისდა მიხედვით, კარგად მოგეხსენება, ძვირფასო მკითხველო, რომ არსება მისი გრძელია...

**გურამ გოგიაშვილი**

**სურათზე: ირაკლი აბაშიძე (მარჯვნივ) ალექსანდრე მეჟიროვთან ერთად. 1979 წ.**

**ვლ. ბინზბურგის ფოტო.**

◎ ქართლი

# 1. დღეს კასპის თავზე...

## „ჰაიდელბერგი“: სრული სვლით!

**ხომ ძნელი წარმოსადგენია, ვთქვათ, თბილისი ფუნიკულიორის, სიღნაღი თავისი გალავნის, ან გორი ისტორიული ციხის გარეშე, ასევე ძნელია ახსენო კასპი და თვალწინ არ დაგიდგეს გიგანტი ცემენტის ქარხანა თავისი მხრჩოლავი მილებით. წლიდან წლამდე, ზამთარ-ზაფხულ, დღისით თუ ღამით ამოდის და ამოდის მილებიდან კვამლი და ამოაქვს ტონობით ცემენტის მტვერი. ცემენტი „ათოვს“ ბაღებს და ბოსტნებს, ზვრებსა და მინდვრებს, მიწასა და მდინარეს, შენობებს და ხეებს.**

— კმარა, — მეუბნება კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი ლევან ბარამაძე. — ეს ყველაფერი დღეს უკვე ისტორიაა. ცემენტის მტვერიო, რომ ამბობთ, იმავდროულად ის ჩვენთვის სირცხვილის მტვერიც იყო. წუხდა კოლექტივი, როცა ხედავდა, როგორ იტანჯებოდა მოსახლეობა ჩვენ გამო. ახლა შეგვიძლია ხმამაღლა ვთქვათ: კომპანია „ჰაიდელბერგმა“, ვისაც ცემენტის ქარხანა ეკუთვნის, მხრჩოლავი მილები „მოათვინიერა“.

— ანუ?

— „ჰაიდელბერგმა“ ცემენტის გამონაბოლქვების ტექნოლოგიური კონცეფციის გათვალისწინებით სრულიად განახორციელა ძვირადღირებული მტვერდამჭერი დანადგარების მონტაჟი და შედეგიც სახეზეა: ეკოლოგიური პრობლემები ქალაქს მოუხსნა.

და, მართლაც, სამივე მბრუნავ ღუმელს მიუერთეს იტალიური ფირმა „რედეკამის“ სახელურიანი ფილტრები, რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი, ქარხნის დირექტორის თქმით, 99,99 პროცენტია. მტვერდამჭერების მთლიანი მონტაჟი 6 მილიონი ევრო დაჯდა. უნდა ითქვას, რომ სამუშაოები ამით არ დასრულებულა. სულ მალე, ახლა უკვე ცემენტის წისქვილებზე ოთხი ახალი — თითოეული მილიონი ევროს ღირებულების ფილტრი დამონტაჟდება. ეს მოწყობილობა, სპეციალისტების საერთო აღიარებით, უნიკალურია და იგი არა მარტო გააუმჯობესებს ეკოლოგიურ ვითარებას რაიონში, სასიკეთოდ აისახება ქარხნის წარმადობაზე და პროდუქციის ხარისხზეც.



სხვამხრივ ქარხანა, რომ იტყვიან „ფორმაშია“. ორი მბრუნავი ღუმელი დღე-ღამეში 1440 ტონა კლინკერს უშვებს, ივნისში ეს მაჩვენებელი 2160 ტონამდე გაიზრდება. „ჰაიდელბერგი“ ყოველწლიურად ზრდის მეცემენტეთა ხელფასს, ახლა მუშის საშუალო ხელფასი 630 ლარია, კომპანია ზრუნავს თავისი 600-კაციანი კოლექტივის სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.

კასპის ცემენტზე ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, განსაკუთრებით, აზერბაიჯანში, დიდი მოთხოვნაა. დღეს საქართველოში ავტობანები ხომ კასპური ცემენტით შენდება.

საუბარს მოვრჩით. ლევან ბარამაძეს დავემშვიდობე და წამოვედი. შენობიდან გამოვედი და ზევით ავიხედე. მგონი, პირველად დავინახე კასპის თავზე ლურჯი, მოწმენდილი ცა.

ეს კარგი ნიშანია.

**სურათზე: ახალი მტვერდამჭერი დანადგარები კასპის ცემენტის ქარხანაში.**

# 2. იყოს ნათელი!

## სოფლად მცირე ჰესის გახსნაზე

**— არ გინდათ, ოკამში, მცირე ჰესის საზეიმო გახსნაზე წამოსვლა? — მეკითხება კასპის რაიონული გაზეთის „ახალი განთიადის“ რედაქტორი ნანა მერებაშვილი. თავპატიჟის დრო არ არის: მიწვევა მიღებულია და მანქანაში ვჯდები. მძღოლიც რომ ჩინებული გვყავს — რაიონის ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სპეციალისტი აჩიკო გიგოლაშვილი.**

ჩავედით იგოეთში და ზევით, თბილისისკენ ავუყევით აღმართს, შემდეგ თავქვე დავეშვით, ახალი ავტობანის ქვეშ გავსრიალდით და აგერ, ოკამიც!

ამ სოფელმა ბოლო 15-17 წელი ისევე არეულად იცხოვრა, როგორც საქართველოს სხვა დანარჩენმა სოფლებმა. სარწყავი წყალი ენატრებოდათ, 621-კომლიან სოფელში მხოლოდ სამ უბანში მოდიოდა სასმელი წყალი, შუქი ხომ, წელი ისე მობრუნდებოდა, ნათურა არ აინთებოდა. იმ წლებში მეზობელ თეზში ერთ ოჯახში მოვხვდი. ციცქნა გოგო მამის შარვალს ჩაბღაუჭებოდა და ცნობისმოყვარედ შემოგვცქეროდა.

— შუქი თუ გაქვთ-მეთქი, — ვკითხე მასპინძელს.

— ორი წელია წამლადაც არ გვინახავს. ჰოდა, სწორედ წუხელ მოვიდა. ოთახი რომ გაჩახჩახდა, ამ ბალღმა შიშისგან ტირილი მორთო: პირველად ნახა ანთებული ნათურა.

დღეს, რა თქმა უნდა, ასე აღარ არის გუშინ რომ იყო, ხვალ კიდევ უკეთესი ცხოვრება გვექნება. აი, თუნდაც ოკამჰესის ეს ახალი შენობა. რა ხელმა ააგო ასეთი კოხტა და კოპწია! მაგრამ მოწვეულ სტუმრებში საქართველოში ამერიკის ელჩი ჯონ ტეფტი რომ დავინახე, ვთქვი: ოკამჰესის მშენებლობაში ამერიკის „ხელი ურევია“. ასეც აღმოჩნდა.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის — ენერგეტიკის განვითარება სოფლად, — ფარგლებში და რომელსაც USAD-ი ახორციელებს, საქართველოში უკვე მეოთხე ჰესი ააშენა. ოკამჰესის ღირებულება ნახევარ მილიონ ლარზე მეტია, აქედან ამერიკულმა მხარემ გრანტის სახით 119 ათასი ლარი გამოყო. დანარჩენი კერძო ინვესტიციების და კომერციული სესხების შედეგია. USAD-ის პროექტი ეს არის ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება, ჰიდრორესურსების პოტენციალის ზრდა. იგი ბევრ სხვა სიკეთესაც გვპირდება. ჰესის მთელ ტექნიკურ აღჭურვილობაზე — გენერატორებზე, ტურბინებსა და მართვის სისტემებზე ამოტვიფრულია დამღები — „დამზადებულია საქართველოში“.

დადგა ჰესის საზეიმო გახსნის ამაღლებული მომენტი. ჩართეს ჩამრაზი და შუქი მოვიდა ოკამის, თეზის, ფერმის, ჩანგოლარის ასობით ოჯახში, სკოლებში, კლუბებში, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში.

**გურამ ვაშაკიძე**

◎ ინფორმაცია

# კოკოითი კვლავ პირველობს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთში სეპარატისტების მიერ გამართულ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებში კოკოითის პარტია ლიდერობს.**

**ამ დროისთვის ბიულეტენების 88 %-ია დათვლილი.**

**წინასწარი მონაცემებით, კოკოითის პარტიამ ხმათა 45 % მოაგროვა, მეორე ადგილზე 24 %-ით კომუნისტები იმყოფებიან, მესამეზე კი, „სახალხო პარტია“, რომელსაც ხმა ამომრჩეველთა 23 %-მა მისცა.**

**ადგილობრივი დე ფაქტო საარჩევნო კომისიის მტკიცებით, „არჩევნებზე აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო და საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 70 % გამოცხადდა.**

**აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონში ჩატარდებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები რუსეთის ცესკომ ლეგიტიმურად უკვე შეაფასა და განაცხადა, რომ „ის მაღალ დონეზე ჩატარდა“.**

Xი-ეიბ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „წარუმატებელ ბუნტს რუსეთში მცხოვრები ოლიგარქი აფინანსებდა“

**გავლენიანმა ქართველმა პარლამენტარმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ 22 მაისს ტელეარხ „რუსთავი-2“ ყოველკვირეულ გადაცემა „პოზიციაში“ გამოსვლის დროს გააკეთა რამდენიმე მამხილებელი განცხადება.** კერძოდ, თარგამაძე ამტკიცებდა, რომ წარუმატებელი ბუნტი მუხროვანის სამხედრო ბაზაზე 5 მაისს დასპონსორებული იყო ქართული წარმომავლობის ოლიგარქის ალექსანდრე ებრალიძის მიერ, რომელიც უკვე 30 წელია რუსეთში ცხოვრობს. ცნობილია აგრეთვე, რომ ის არის პირდაპირ კონტაქტში რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან. კერძოდ, თარგამაძემ აღნიშნა: „მე არ ვასახელებდი ამ კაცის სახელს, რომელმაც ყველაფერი ეს მოაწყო მანამ, სანამ ეს თავად არ განაცხადა, და აღნიშნა, რომ ამ წარუმატებელი ამბოხების შემდეგ მას არ შეუძლია კიდევ დიდხანს ელოდოს და განზრახული აქვს კენჭი იყაროს პრეზიდენტის არჩევნებში. საკითხი შეეხება ბატონ ებრალიძეს, და თუ იგი მიიჩნევს, რომ დღევანდელ რუსეთში შეიძლება იყო მილიარდერი-ოლიგარქი და ცხოვრობდე პეტერბურგში, არ იმყოფებოდე ყველაზე ცნობილი პეტერბურგელის — პუტინის — კონტროლის ქვეშ, იგი ღრმად ცდება“.

ებრალიძეს, რომელიც დაიბადა ბათუმში და ამჟამად სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს, არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა. იგი არის სააქციო საზოგადოება „ტალიონის“ გენერალური დირექტორი. 2007 წელს გაზეთმა „ჯორჯიან ტაიმსმა“ მისი ქონება 300 მილიონ დოლარად შეაფასა. როგორც ჩანს, ებრალიძე არის პიროვნება, ვისაც მრავალ ადამიანთან აქვს კავშირურთიერთობა. „გაზეტა რუს“ მონაცემებით, პუტინის ყოფილი მწვრთნელი ძიუდოში არკადი როტენბერგი, რომელიც ამჟამად ძიუდოს სპორტული კლუბის „იავარა-ნევას“ გენერალური დირექტორია, შედის „ტალიონის“ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში. ამას გარდა, ებრალიძის მეგობრებს შორის არიან — ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი, სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორი ვალენტინა მატვიენკო და ვიცე-გუბერნატორი სერგეი ტარასოვი. ასევე შთამბეჭდავია ებრალიძის კრიმინალური წარსული. იგი ორჯერ არის ნასამართლევი: პირველად — ყაჩაღური თავდასხმისთვის და იარაღის უკანონო ტარებისთვის, მეორედ — ხულიგნობისა და ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის.

ალექსანდრე ებრალიძე — საქართველოს ხალხთა საერთაშორისო კონგრესის პრეზიდენტია. კონგრესი რეგისტრაციაში გატარებულია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მარტში; ყოველ შემთხვევაში, ასეთი მონაცემები განთავსებულია მრავალ ეროვნულ საიტზე და ამ ორგანიზაციის ბლოგში.






საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პირველი დამფუძნებელი ყრილობა 18 ქვეყნის 1500 დელეგატის მონაწილეობით, რომლებიც წარმოადგენდნენ 14 ეროვნებას, გაიმართა 13-15 მაისს სოჭში. ყრილობის მთავარი ორგანიზატორი იყო მეწარმე, ოსი გოჩა ძასოხოვი, წარსულში იგი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაახლოებული პირი იყო, მაგრამ, „კომსომოლსკაია პრავდის“ მონაცემებით, მასთან გაწყვიტა ურთიერთობა შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ. ყრილობის დასკვნით სხდომაზე ებრალიძემ, რომელიც სულაც არ მორცხვობდა, რომ მას არ გააჩნია საქართველოს პასპორტიც კი, გააკეთა სენსაციური განცხადება თავისი მზადყოფნის შესახებ, კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტად: ამის შემდეგ ქართული ოპოზიციის პატარა დელეგაციამ აღშფოთებით დატოვა დარბაზი. უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციაში, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა, შედიოდნენ ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში გიორგი ვოლსკი, ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე (იგი აირჩიეს კონგრესის საპატიო თავმჯდომარედ), აგრეთვე „ჯორჯიან ტაიმსის“ მედია-ჰოლდინგის პრეზიდენტი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა აღდგენის საზოგადოებრივი კომისიის თანათავმჯდომარე მალხაზ გულაშვილი.

ზემოხსენებული დამფუძნებელი კონფერენციის რეზოლუციაში არსებითად მეორდება კრემლის მოთხოვნები თბილისისადმი: „საქართველო უნდა გახდეს ნეიტრალური, ბლოკსგარეშე არსებული სახელმწიფო, რომელიც ავითარებს ურთიერთობას თავის მეზობლებთან და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან. ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან არ უნდა გამოდიოდეს სამხედრო დაშინება, ვისთვისაც არ უნდა იყოს ეს. საქართველომ, თავის მხრივ, უნდა მიიღოს საერთაშორისო გარანტიები მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. საქართველოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა გახდეს რუსეთის ფედერაციასთან თანაბარუფლებიანი ურთიერთობის აღდგენა და განვითარება“.

„რუსთავი-2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში თარგამაძემ გააკეთა სხვა მნიშვნელოვანი განცხადებებიც, რომლებიც შეეხება რუსეთში ქართული დიასპორის პრომოსკოვური განწყობილების წარმომადგენლებს. მაგალითად, პარლამენტარი ამტკიცებდა, რომ მუხროვანში ამბოხების ორგანიზატორები აწყობდნენ წინასწარ თათბირებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთ-ერთ ქვეყანაში (თუ რომელში, მას არ დაუკონკრეტებია). თარგამაძის სიტყვებით, ამ შეხვედრების ორგანიზატორები იყვნენ ქართული წარმომავლობის ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ რუსეთში — ტარიელ ონიანი და ბონდო შალიკიანი. უნდა აღინიშნოს, რომ 18 მაისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაიხსენა შალიკიანი, საქართველოში მიმდინარე ოპოზიციის დემონსტრაციების ერთ-ერთი „აქტიური სპონსორი“, მარტში კი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ტარიელ ონიანი დაასახელა უწესრიგობათა წამქეზებლების რიცხვში.

„ებრალიძის პროექტის“ კრემლის მენეჯერების ხელსაყრელი მოტივები ყველაზე უკეთ დაახასიათა „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტმა ვლადიმირ ვორსობინმა: „მოსკოვში კი, როგორც ჩანს, გაიგეს: რუსეთის გავლენის აღსადგენად საჭირო გახდება თბილისის პოლიტიკურ ტერარიუმთან წამებანი, ვიდრე დიდია ქართველების გაწბილება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკით, სანამ თბილისის ხელისუფლება არ არის მოწესრიგებული, მოსკოვმა მოიპოვა შანსი გამოსტაცოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუნდაც მცირედი პლაცდარმი პრორუსული პოლიტიკოსებისთვის. სოჭში, მაგალითად, გამოჩნდა უმალვე ორი „გავლენის აგენტი“ — ეროვნული უმრავლესობისთვის და უმცირესობისთვის. დაე, ტლანქი და ულაზათო, მაგრამ პოლიტიკური „დესანტის“ მზადება, როგორც ჩანს, დაიწყო“.

**ალექსანდრე მელიქიშვილი**

The JAMESTOWN FOUNDATION

# საქართველოს პროტესტებმა „ბენეტონი“ აიძულეს, რომ უკან დაეხია

**მოდების სახლის „ბენეტონის“ სარეკლამო განცხადებებს ხშირად გაუწევიათ პროპაგანდა საერთაშორისო ჰარმონიისა და კეთილმოსურნეობისთვის, მაგრამ მისი საეჭვო გეგმა, გახსნას საფირმო მაღაზია ომისგან გაჩანაგებულ კუთხეში ყოფილი საბჭოთა კავშირისა, პირიქით, გახდა გაცხოველებული პოლიტიკური დავის საბაბი.**

„ბენეტონ გრუპმა“ გადასინჯა თავისი გადაწყვეტილება, გაეხსნა აფხაზეთში მაღაზია — შავიზღვისპირა სადავო რეგიონში — მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამასთან დაკავშირებით გამოთქვა თავისი უკმაყოფილება, ხოლო საქართველოში გახსნილი მაღაზიები პროტესტის ნიშნად დაიხურა. ამრიგად, „ბენეტონი“ გახდა პირველი საერთაშორისო ბრენდი, რომელმაც ზარალი განიცადა აფხაზეთთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც იტალიური მოდების სახლის თურქეთის განყოფილებამ გამოაცხადა ამ კვირაში თავისი სურვილი, გაეხსნა სავაჭრო წერტილი აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში, საქართველოში „ბენეტონის“ 7 მაღაზია დაიხურა.

თუმცა მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომის შედეგად, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მოხდა აფხაზეთში და ეს რეგიონი გამოვიდა ცენტრალური მთავრობის კონტროლიდან, მან შეიძინა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, ქართველები კვლავ მიიჩნევენ მას თავიანთ სუვერენულ ტერიტორიად, თანაც ეს დავა არაერთგზის გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტში.

„ბენეტონის“ თურქეთის ქვეგანყოფილება თავდაპირველად აცხადებდა, რომ იგი „ამაყობს“ შესაძლებლობით, გახსნას მაღაზია აფხაზეთში, რომ ეს პრობლემური ზღვისპირა რეგიონი „ხსნის ისტორიულ „აბრეშუმის გზას“ ზღვისკენ“.

ამ განცხადებამ საქართველოს მთავრობის მკაცრი რეაქცია გამოიწვია, საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მას „აღმაშფოთებელი“ უწოდა.

შარშანდელი რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოსკოვმა აფხაზეთი აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და განათავსა იქ რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. თბილისის ხელისუფლებამ მას ოკუპაცია უწოდა.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აფხაზეთში იკრძალება ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობა, რომელზეც არ ყოფილა მიღებული ოფიციალური ნებართვა. „თუ რომელიმე კომპანია მოინდომებს დაიწყოს საქმიანობა კანონის გვერდის ავლით, მას ელოდება სამართლებრივი, კომერციული და სხვა შედეგები“,— განაცხადა ბატონმა ვაშაძემ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ლაშა ჟვანიას სიტყვებით, მას იმედი აქვს, რომ თურქები „მიიღებენ ადეკვატურ ზომებს საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად“.

მას შემდეგ, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა თურქ დიპლომატებს თბილისში, „ბენეტონმა“ უმალვე თქვა უარი სოხუმში მაღაზიის გახსნის იდეაზე.

როგორც თურქეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, კომპანიამ განაცხადა, რომ მასზე არ მომხდარა არავითარი პოლიტიკური ზემოქმედება, მაგრამ მას სურს „განმუხტოს დაძაბულობა, რაც შეუთავსებელია ამ კომერციული ფირმის თვალსაზრისით“.

აფხაზეთის პრობლემა მძაფრ ემოციებს იწვევს საქართველოში მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომის დროს რეგიონიდან გაიდევნა 250 ათასი ეთნიკური ქართველი.

მაია ბურდული, რომელიც პასუხისმგებელია „ბენეტონის“ მაღაზიების საქართველოს ქსელთან დაკავშირებით, მიიჩნევს მომხდარს თავისი კოლეგებისა და, კერძოდ, თავისი ქვეყნის გამარჯვებად. „თურქეთის კომპანიის განზრახვა გახსნას მაღაზია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ჩვენთვის მიუღებელი იყო, — განაცხადა მან. — ჩვენ სხვა საშუალება არ გვქონია გამოგვეხატა ჩვენი პროტესტი — მხოლოდ მაღაზია უნდა დახურულიყო“.

მაგრამ აფხაზეთში ეს მიაჩნიათ დაშინების მორიგ მაგალითად საქართველოს მხრიდან, რომელიც მიზნად ისახავს, რომ მოახდინოს რეგიონის ეკონომიკური იზოლირება და ხელი შეუშალოს მას, მიაღწიოს სრულფასოვან დამოუკიდებლობას.

„ნებისმიერი ინიციატივა, ნებისმიერი დადებითი ცვლილება ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს გაღიზიანებას იწვევს, — განაცხადა ამ კვირაში სოხუმის მერმა ალიას ლაბახუამ. — აფხაზეთს არაფერი აქვს საქართველოსთან საერთო უკვე 15 წელია და ჩვენ თვითონ ვწყვეტთ, თუ ვისთან ვითანამშრომლოთ და დავამყაროთ ეკონომიკური კონტაქტები“.

**მეთიუ კოლინი**

THE WALL STREET JOURNAL.

## დედამიწის ზურგზე



**გარდაიცვალა „ტიტანიკის“ უკანასკნელი მგზავრი**

მილვინა დინი გარდაიცვალა 98 წლის ასაკში ინგლისის გემპშირის საგრაფოს მოხუცთა ერთ-ერთ თავშესაფარში. იმისთვის, რომ გადაეხადა თავისი იქ ყოფნის საფასური 3 ათას გირვანქა სტერლინგამდე, დინი იძულებული იყო გაეყიდა თავისი სამახსოვრო ნივთები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კატასტროფასთან. დახმარების ფონდში შეიტანეს გადასახადი ფილმ „ტიტანიკის“ შემქმნელებმაც.

* * *

**ბაკიევის ორი მეტოქე ყირგიზეთის პრეზიდენტის სავარძლისთვის მოხსნეს არჩევნებიდან მშობლიური ენის უცოდინარობის გამო**

ყირგიზული ენის ცოდნაზე სავალდებულო საგამოცდო დავალებას თავი ვერ გაართვეს ბიზნესმენმა კუტმანბეგ ეშანბაევმა და გადამდგარმა პრაპორშჩიკმა აზამად ულამაევმა. თავად ბაკიევმა გამოცდა ჩააბარა, თუმცა დაუშვა სამი შეცდომა.



* * *

**ნაცისტური დამნაშავის დემიანიუკის პროცესზე განიხილავენ დამატებით სარჩელებს**

გამოძიების მონაცემებით, 1943 წელს 23 წლის ივან დემიანიუკი, რომელიც დაიბადა უკრაინაში, ნახევარი წლის განმავლობაში ესესელთა ჯარების შემადგენლობაში მსახურობდა მეთვალყურედ სობიბორის სიკვდილის ბანაკში. მას ბრალს სდებენ, რომ მონაწილეობდა 29 ათასი ებრაელის მკვლელობაში, რომელთაგან უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ.

* * *

**ტიმოშენკომ და იანუკოვიჩმა მოილაპარაკეს, გაიყონ ხელისუფლება უკრაინაში და შეცვალონ კონსტიტუცია**

პრემიერ-მინისტრმა და „რეგიონების პარტიის“ ლიდერმა შეათანხმეს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც გააუქმებს საყოველთაო პრეზიდენტის არჩევნებს და ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ 2024 წლამდე, ამტკიცებენ წყაროები. პრეზიდენტი იუშჩენკო ბრალს სდებს მოწინააღმდეგეებს ქვეყნის „ორად გაყოფის“ მცდელობაში.

* * *

**პერუში ავტობუსი გადავარდა ხრამში, დაიღუპა 23 კაცი**

ვარაუდით, ავტობუსი, რომელიც ქალაქ ტრუხილიოში მიდიოდა, გადავარდა 150 მეტრის სიმაღლის ხრამში მძღოლის გამოუცდელობისა და სისწრაფის რეჟიმის გადაჭარბების გამო. დაღუპულთა გარდა 20-მა კაცმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის ტრავმა.



◉ „ბავშვებს მშვიდობა გვინდა“

***დღეს ყველაზე მეტი თანადგომა აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულებს – დევნილებს სჭირდებათ. რუსულმა აგრესიამ მძიმე და ტრაგიკული კვალი დატოვა – დაიღუპა მრავალი ქართველი და ოსი ეროვნების მოქალაქე, მათ შორის ბავშვები. გორისა და ცხინვალის რეგიონში ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი განადგურდა. დევნილ მოსახლეობას და, უწინარესად, ბავშვებს აუცილებელი მატერიალური და სულიერი დახმარება სჭირდებათ.***

***მათი ტკივილი გულთან ახლოს მიიტანა ქალბატონმა ფლორა შენგელიამ. საქველმოქმედო კავშირ „ოცნება 2007“-ის თავმჯდომარემ ორი წლის განმავლობაში უამრავი აქცია გამართა ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა დასახმარებლად, სოციალურად დაუცველ მოხუცებსა და ბავშვებს უანგაროდ შეეწია. კავშირმა მაისის დასაწყისში ოთხ ორგანიზაციასთან ერთად განახორციელა ერთობლივი პროექტი „ბავშვებს მშვიდობა გვინდა“. ეს ორგანიზაციებია: „დიპლომატთა ასოციაცია“, საქველმოქმედო ფონდი „დიპლომატები“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კავშირი „ნადი“, სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი „აისი“.***

***პროექტის ოფიციალური მხარდამჭერი იყო პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი კობა ხაბაზის წარმომადგენლობით.***



# უანგარო სიკეთე ყველაზე დიდი მადლია

## დევნილმა მოხუცმა ფლორა შენგელიას ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა

– პროექტის მიზანი იყო, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ უკიდურესად დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობის განმუხტვა, ქართველ და ოს ხალხს შორის თანაცხოვრების გაგრძელება, რაც ამ ორი ერის გადარჩენისა და იმისთვისაა მნიშვნელოვანი, რომ მათ მსოფლიო ისტორიაში კვლავაც საკუთარი წვლილი შეიტანონ, – გვითხრა ქალბატონმა ფლორამ.

საგულისხმოა, რომ კონფლიქტის რეგიონიდან დევნილ ბავშვებს უნარშეზღუდული ბავშვები დაეხმარნენ. მათ „თეატრ ათონელზე“ წარმოადგინეს სპექტაკლი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ (დამდგმელი რეჟისორი კობა სხილაძე). სპექტაკლიდან შემოსული საკმაოდ სოლიდური თანხა კი ცხინვალიდან და გორიდან დაზარალებულ 27 ბავშვს გადაეცა, რომლებიც ამჟამად საგარეჯოს რაიონში ცხოვრობენ დროებით. დევნილი ბავშვები ამ სპექტაკლის მსახიობების მიერ დამზადებული ნაკეთობებითაც დასაჩუქრდნენ.

– დევნილი ბავშვების გარდა, საზოგადოებაში რეაბილიტაცია და ადაპტაცია უნარშეზღუდულ ბავშვებსაც სჭირდებათ, – გვითხრა პროექტის „ბავშვებს მშვიდობა გვინდა“ ავტორმა, „დიპლომატთა ასოციაციისა“ და საქველმოქმედო ფონდ „დიპლომატების“ თავმჯდომარემ, ბატონმა **ნუგზარ ჭიაბერაშვილ-**



**მა,** – სწორედ „აისისა“ და „ნადის“ ბავშვებმა დაარწმუნეს საზოგადოება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანნი არიან საკუთარი საქმით. დევნილი ბავშვებისთვის დახმარების გაწევით მათ ერთმანეთს ხელი გაუწოდეს.

„ნადი“ და „აისი“ ამ ბავშვებს ყველანაირად ეხმარება, რათა მათ შეძლონ ადაპტაცია გარემოსთან და საკუთარი ნიჭის რეალიზაცია. მათ აქვთ განსაკუთრებული მიდგომები ცხოვრების მიმართ. ეს სიყვარულია, და ისინი იმაზე მეტად გამოხატავენ ამას, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია.

მათ სპექტაკლზე ყველა ტიროდა, პატარა მსახიობებმა არაჩვეულებრივად შეასრულეს როლები, და მაყურებელი გააოცეს საკუთარი შესაძლებლობებით.

ამის გარდა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ასოციაციის, ფონდ „დიპლომატებისა“ და „ოცნება-2007“-ის ინიციატივით, 1 ივნისს – ბავშვთა საერთაშორისო დღეს ისნის რაიონში, მზრუნველობამოკლებულ სახლ „სათნოებაში“ კიდევ ერთი საქველმოქმედო საღამო გაიმართა. ამ სახლის ბავშვებმა წარმოადგინეს სპექტაკლი და ხალხური ცეკვა-სიმღერით გაალამაზეს საღამო.

– მანამდე ვიშრომებთ, ვიდრე ბოლო გაჭირვებულს არ დავეხმარებით, – ასეთია **ფლორა შენგელიას** და **ნუგზარ ჭიაბერაშვილის** მრწამსი.

უნდა აღინიშნოს, რომ შარშან სექტემბერში, როდესაც თბილისს დევნილთა ტალღა მოაწყდა, ქალბატონმა ფლორა შენგელიამ სანდრა ელისაბედ რულოვსის საქველმოქმედო ორგანიზაციასთან ერთად ერთობლივი საქველმოქმედო ღონისძიება გამართა. ისანში, ჰოსპიტლის შენობაში ჩასახლებულ 600-მდე დევნილს რამდენიმე ათეული ათასი ლარის შემწეობით დაეხმარნენ ქვეყნის პირველ ლედისთან ერთად.

– მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ სანდრას და ყველა საქველმოქმედო ორგანიზაციას ვთხოვო, გულისხმიერება გამოიჩინოს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს დევნილ ბავშვებს, – მეუბნება ფლორა შენგელია.

თავად ქალბატონ ფლორას ქველმოქმედება დიდი ოჯახიდან მოსდგამს: „ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში რვა დედმამიშვილი ვიზრდებოდით ერთად და ყველამ ვიცოდით შრომის ფასი. შრომის ყადრი მამამ გვასწავლა. დედაჩემის სიტყვები კი ახლაც ჩამესმის: დაეხმარე გაჭირვებულს! დღემდე დედის ამ დევიზად ქცეული სიტყვებით ვცხოვრობ“, – ამბობს იგი.

ქალბატონი ფლორას დამ მანანამ გვიამბო, 17 წლის წინათ თუ როგორ შეიფარა თბილისის ოროთახიან ბინაში მისმა დამ სოხუმიდან დევნილი 14 ნათესავი. 3 წლის განმავლობაში საკუთარ შვილებს აკლებდა და მათთვის ჰქონდა თავი გადადებული.

საქველმოქმედო კავშირ „ოცნება 2007“-ის წევრ მაკა ლატარიას თქმით, ქალბატონი ფლორა ინდივიდუალურადაც ეხმარება ადამიანებს. მან მცხეთის რაიონის სოფელ აღაიანში უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს ყველა წევრისთვის ჩასაცმელი აჩუქა, ფულადი დახმარება და საჩუქრები გადასცა.

ქალბატონი ფლორას მეგობრებმა მიამბეს ისიც, თუ როგორ შეეწია იგი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ერთ დევნილ მოხუც კაცს, რომელმაც დაიჩივლა, მეუღლე გარდამეცვალა, აქ, დევნილობაში დავკრძალე, მალე ორმოცი მოვა, მე კი სანთლისა და ჭიქა ღვინის ფულიც კი არა მაქვსო. ფლორა შენგელიამ მას საგრძნობი თანხა აჩუქა: ღვინოც წაუქციე და სანთელიც აუნთე შენს მიცვალებულსო..

„იმ კაცის თვალები არასდროს დამავიწყდება – ცრემლიანი, სიხარულნარევი... იმავე წამს ქალბატონ ფლორას ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა მოხუცმა... ის ემოცია დიდხანს გამყვა, ამაყიც ვიყავი და დაბნეულიც. ასეთი რამ ყოველდღე არ ხდება ჩვენს ცხოვრებაში“, – მეუბნება ბატონი ნუგზარ ჭიაბერაშვილი.

უანგარო სიკეთე ყველაზე დიდი მადლია, ეს კარგად იცის ქალბატონმა ფლორა შენგელიამ და ამ სიკეთით განაგრძობს ცხოვრებას...

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ იუბილარი ბიბლიოთეკა

# 100 წელი მკითხველის სამსახურში

**1908 წელს, ცნობილმა მრეწველებმა და მეცენატებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა თბილისის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცეს ე.წ. „ზუბალოვების სახალხო სახლი.“ სწორედ აქ დაიდეს ბინა თეატრმა (დღევანდელი**



**მარჯანიშვილის თეატრი), სათავადაზნაურო გიმნაზიამ და ბიბლიოთეკა-სამკითხველომ.**

**წლეულს, 18 მაისს, აწ უკვე თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა.**

თავიდან ბიბლიოთეკას ერთი ოთახი ეჭირა და სამი თანამშრომელი ჰყავდა – გამგე, დარაჯი და ტექნიკური მუშაკი, ხოლო ბიბლიოთეკის მთელი წიგნადი ფონდი 3450-მდე ტომს ითვლიდა.

1928 წელს ბიბლიოთეკა შეროზიას ქუჩაზე გადაიტანეს და ქართველი რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის სახელი უწოდეს, 1994 წლიდან კი მიხეილ ჯავახიშვილის სახელი მიანიჭეს. თუმცა, ძველი მკითხველები – დღესაც ძველებურად მოიხსენიებენ, „ჯაფარიძის ბიბლიოთეკაო.“ იგი ოდითგანვე ქართველი ინტელიგენციის თავშეყრის ადგილი იყო: პაოლო იაშვილი, გალაკტიონი, ტიციანი, ტერენტი გრანელი, უშანგი ჩხეიძე, ნუცა ჩხეიძე, სპარტაკ ბაღაშვილი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი... 90-იან წლებში ბიბლიოთეკას უკანონო პრივატიზაციის საფრთხე დაემუქრა, მაგრამ თანამშრომლების ძალისხმევით და საზოგადოების თანადგომით მას იქვე, ტოვსტონოგოვის ქუჩაზე ორსართულიანი შენობა გადაეცა. განახლებული მთავარი ბიბლიოთეკა 2009 წლის 18 მაისს საზეიმოდ გაიხსნა.

დღეს ბიბლიოთეკა ევროპული სტანდარტების უახლესი ტექნიკითა და ინვენტარითაა აღჭურვილი, მოწესრიგებულია ქალაქის სხვადასხვა უბანში მოქმედი მისი ყველა ფილიალი.

მკითხველს ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი, რომ წიგნთან მუშაობის დროს თავი მოხერხებულად იგრძნოს.

ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორია ქალბატონი ციალა კალმახელიძე, რომელსაც აქ მუშაობის ორმოცწლიანი გამოცდილება აქვს და უდიდესი წვლილი მიუძღვის ბიბლიოთეკის შენარჩუნებაში.

ჩვენი მეგზურია **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი**, ქალბატონი **მარი მალაზონია**. სწორედ მან დაგვათვალიერებინა და გაგვაცნო



განყოფილებები, რომელთა ხელმძღვანელები საკუთარი სამსახურის სპეციფიკაზე გვესაუბრნენ.

**საბიბლიოთეკო კვალიფიკაციის ცენტრის ხელმძღვანელი ლილი გორდელაძე** 44 წელია ბიბლიოთეკაში მუშაობს.



**საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეა მანონი ხორავა,** მთავარი ბიბლიოგრაფები არიან ნანი არეშიძე, გიული ბარამიძე, ნანა ხომერიკი, ლელა ბაბუციძე.

**გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე, სამკითხველო დარბაზის გამგე მზია აროშიძე:** – სამკითხველო დარბაზის ისტორია უკვე საუკუნეს მოიცავს. ძველად, როგორც ფოტოარქივმა შემოგვინახა, სამკითხველოს დიდი და ნათელი დარბაზი ჰქონია დათმობილი, სადაც ექვსი დიდი მაგიდა იდგა ნათურებით და 54 კაცზე იყო გათვლილი.



**აბონემენტის განყოფილების გამგე მარინა ბუხრაშვილი:** – მკითხველთა რეგისტრაცია ფასიანია, 3 ლარი ღირს. უკვე დარეგისტრირებულ მკითხველებს წიგნების გატანა ჩვენი განყოფილებიდან შეუძლიათ. აქ უნივერსალური წიგნების ფონდია. გვაქვს ყველა დარგის ლიტერატურა. ამ ზღვა მასალაში ადვილად რომ გაერკვე, ამისთვის არსებობს საკვალიფიკაციო ცხრილი, არაბული რიცხვების მიხედვით დაყოფილი ( 0-დან 9-ის ჩათვლით) უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია, რომელიც 1876 წელს ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა მელვილ დუიმ შეიმუშავა. ბოლო დრომდე ჩვენ რუსული BBK სისტემით ვსარგებლობდით, ახლა კი ათწილად კლასიფიკაციაზე გადავედით. ეს ნიშნავს, რომ ყველა წიგნი უნდა გადაგვეშალა, შესაბამისი ინდექსი დაგვესვა და დაგველაგებინა, წარმოიდგინეთ - ათეულ ათასობით წიგნი; სამაგიეროდ, ახლა ნებისმიერი წიგნის მოძიება მკითხველისათვის გაცილებით უფრო ადვილია. კატალოგებსაც ინდექსისა და თაროს მიხედვით ვადგენთ, ისინი ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს.

**კატალოგების განყოფილების გამგე მარინა პაირაზიანი:** –არსებობს ანბანური და სისტემური კატალოგები. ანბანური ჩვეულებრივად, ანბანის მიხედვით იწყობა, სისტემური – ინდექსების მიხედვით.

**საბავშვო ლიტერატურის განყოფილების გამგე ირმა ლომიძე:** –ეს განყოფილება 2008 წლის მაისიდან მოქმედებს. აქ მოსულ ბავშვიან მკითხველებს შეუძლიათ ბავშვები განუსაზღვრელი დროით დატოვონ სპეციალურად მოწყობილ ოთახში.

**ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი ცისანა ქოჩეჩაშვილი:** – წელიწადნახევარია, რაც ეს სალონი გაიხსნა. აქ ხდება ახალი წიგნების წარდგენა და ძველის გახსენება, ტარდება პოეზიის საღამოები, შეხვედრები, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. დღეს 22-ე ღონისძიებას ვატარებთ. პრობლემა ისაა, რომ სალონს ჯერჯერობით საკუთარი დარბაზი არა აქვს და ღონისძიებებს სამკითხველოში ვატარებთ. სალონში, რომელსაც „საგულისონი“ ჰქვია, მომავალში გამოფენის მოწყობას ვგეგმავთ..

**მუსიკალური განყოფილების გამგე თინათინ მდინარაძე:** – ვემსახურებით სტუდენტებს, მოსწავლეებს, პროფესიონალებს და უბრალოდ, ცნობისმოყვარეებს. ლიტერატურა დაყოფილია ჟანრებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების მიხედვით. გვაქვს აგრეთვე დამხმარე ლიტერატურა და ბიოგრაფიული ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე.

**კომპიუტერების განყოფილების უფროსი ომარ შოთაშვილი:** – საბიბლიოთეკო სისტემაში ევროსტანდარტების დანერგვა მიმდინარეობს, რაც კომპიუტერიზაციას გულისხმობს. კომპიუტერში მონაცემთა ბაზები შევიყვანეთ, რადგან ელექტრონული საკატალოგო მეურნეობის დანერგვის აუცილებლობა გაჩნდა. ჩვენ ყველა წიგნის მონაცემი გვაქვს კომპიუტერში. ლოკალური ქსელების დანერგვასაც ვაპირებთ. წიგნი თუ ადგილზე არ დაგხვდათ, მის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ რამდენიმე წამში მიიღოთ. მთავარია, საძიებო სიტყვა მიუთითოთ და სერვერზე გამოჩნდება, რომელ წიგნში რომელ გვერდზეა თქვენთვის საჭირო ინფორმაცია. ასე რომ, მოსულ მკითხველს აღარ სჭირდება უამრავი წიგნის გადმოღება და საჭირო ინფორმაციის ძებნაში დროის დაკარგვა.

* * *

ბიბლიოთეკის ეზოში წიგნების გამოფენა-გაყიდვაა. ნებისმიერ მოქალაქეს სიმბოლურ ფასად შეუძლია სასურველი წიგნის შეძენა. ესეც არის მთავარი ბიბლიოთეკის, მისი თანამშრომლების, გენერალური დირექტორის, ქალბატონ ციალა კალმახელიძის ერთი კეთილშობილური საქველმოქმედო აქცია იმ მრავალთაგან, რაც ბიბლიოთეკის საიუბილეო დღეებში, 18-31 მაისს დაიგეგმა.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები თბილისის მერიას ემადლიერებიან იმ თანადგომისთვის, რაც მან ბოლო წლებში ბიბლიოთეკისადმი გამოიჩინა.

**ლალი წიკლაური,**
**ქრისტინე მაისაშვილი,**
**შორენა ცარციძე,**
**რუსუდან გოგიძე,**

**თბილისის პოლიტიკური აკადემიის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები**

ყიფიანის თასი

# ივარჯიშეთ პენალტებზე



**მოგეხსენებათ, ახლახან დასრულებული ეროვნული ჩემპიონატის ფინიშზე თბილისის „დინამო" „ვიტ ჯორჯიას" ჩამორჩა.**

დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის თასის" გათამაშების ფინალში მოვლენები ისე განვითარდა, ადვილი შესაძლებელი იყო, ქვეყნის წამყვან კლუბს სეზონი უტიტულოდ დაესრულებინა – რუსთავის „ოლიმპთან" გამართული დრამატული ბრძოლის ძირითადი დროის მიწურულს მსაჯმა ლაშა სილაგავამ მინდვრიდან მასპინძელთა დაცვის ბურჯი კაშია გააძევა.

მანამდე კახი კაჭარავას გუნდი ნერგაძემ დააწინაურა, თუმცა საფინალო სასტვენის წინ მეგრელაძემ დიდოსტატურად შეასრულა საჯარიმო და სტუმრები იხსნა – 1:1.

საფიქრებელი იყო, რომ დამატებით დროში ვარლამ კილასონია შეგირდებს რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილი მეტოქის კარისკენ საიერიშოდ დაქოქავდა, მაგრამ ასე არ მოხდა – ოლიმპელებმა რატომღაც თამაშის ფრთხილი ტაქტიკა აირჩიეს და საქმე პენალტამდე მიიყვანეს, რაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, დამარცხების ტოლფასი აღმოჩნდა.

თერთმეტმეტრიანების სერიის გმირად „თეთრ-ლურჯთა" მეკარე ლორია მოგვევლინა, რომელმაც ორი დარტყმა მოიგერია, ხოლო ამდენჯერვე ბურთი მიზანს ასცდა და საპატიო ჯილდო დედაქალაქში დარჩა – 2:0 (ნერგაძე, ხმალაძე).

**გიორგი შოთაძე**

რექტორის როლი

# ამაგს მედლებით უხდიან



**ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ამირან მექვაბიშვილს კარგად იცნობს გულშემატკივარი, როგორც სპორტის ერთგულ ქომაგსა და არაერთი საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორს.**

მისი ამაგის უპირველესი დამფასებლები აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები არიან, რომლებმაც მრავალ ასპარეზობაში ისახელეს თავი.

ამ ფოტოზე ბატონი ამირანი დედაქალაქის უნივერსიადაში მოპოვებულ გამარჯვებას ულოცავს კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობის II კურსის სტუდენტს თეიმურაზ ლუტიძეს. მან ყველას სიმძიმეების აწევაში აჯობა.

ხელბურთი

# რევანშისტი ესპანელები



**ჩავლილ უქმეებზე გამართული უმძაფრესი ფინალური მატჩებით დასრულდა პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირები და ორივეში წარმატებას ესპანელებმა მიაღწიეს. თავდაპირველად თასების თასის შესახებ.**

ერთი კვირის წინათ „ვალიადოლიდმა" გერმანიაში პირველი შეხვედრა „ნორდჰორნთან" წააგო – 30:31. მართალია, საკუთარ დარბაზში სამხრეთელებმა ასეთივე სხვაობით აიღეს რევანში – 24:23, მაგრამ მათ უპირატესობა სტუმრად გატანილი მეტი გოლის გამო მიენიჭათ.

კიდევ უფრო რთული პრობლემა გადაჭრა „სიუდად რეალმა", რომელმაც ასევე გერმანულ „კილს" ხუთბურთიანი დეფიციტი ამოუქაჩა – 34:39, 33:27 და ზედიზედ მეორედ დაეუფლა ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს – ჩემპიონთა თასს.



წყალბურთი

# მოვერცხლილი თასი საქართველოში დარჩა



**ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა წყალბურთელის ზურაბ სახელაშვილის ხსოვნის ტურნირს „ლაგუნა ვერემ" მესამედ უმასპინძლა. ამჯერად შეჯიბრებაში მოსკოვისა და ოდესის ნაკრებმა გუნდებმაც იასპარეზეს.** მთავარი პრიზის მოსაპოვებლად რვა გუნდი იბრძოდა. ჯგუფებში წასული სისტემით გამართული პაექრობების შემდეგ ნახევარფინალში საქართველოს პირველმა ნაკრებმა ოდესელებს სძლია 2:0 (მინი წყალბურთში თითოეული პერიოდი ექვს გატანილ გოლამდე გრძელდება), ხოლო მეორე ნაკრებმა მსგავსი ანგარიშით მოსკოველები დაამარცხა.



გადამწყვეტ შეხვედრაში პირველი ნაკრების (კონსტანტინე გეგელაშვილი, ზურაბ რურუა, ბექა ძენძაძე, გურამ კოტარია, ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი ხვედელიანი, ლევან როსტოშვილი) უპირატესობა აშკარა იყო და ძალების დაუძაბავად გაიმარჯვა კიდევ 2:0 (6:1,6:4). მეორე ნაკრები „ვერცხლს" დასჯერდა, ტურნირის ჩემპიონებს კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა ოქროს მედლებთან ერთად ბრინჯაოში შესრულებული მოვერცხლილი თასიც გადასცა. მესამე ადგილზე გავიდა მოსკოვის ნაკრები, რომელმაც ოდესელებს 2:1 სძლია.

ტურნირის ორგანიზატორებმა სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს ცალკეული სპორტსმენები. საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს კოტე გეგელაშვილი (I ნაკრები), საუკეთესო მეკარედ – ირაკლი ფავლენიშვილი („იბერია"), ბომბარდირი გახდა ოდესელი ილია ოლხოვიკი, ხოლო სიმპათიის პრიზი მოსკოველ ვიტალი აბუზიაროვს ხვდა.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: ფინალური შეხვედრის მომენტი; ტურნირის გამარჯვებული საქართველოს პირველი ნაკრები.**

**ვაჟა დანელიას ფოტო**

ბატუტზე ხტომა

# ვინ უფრო მაღლა, სწრაფად და უკეთ?

**გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ეროვნული ჩემპიონატი. ქალებში სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით არ მონაწილეობდნენ პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი ლუბა გოლოვინა, ნანა ღუჭაშვილი და სოფიო გულიაშვილი.** მათი არყოფნით ისარგებლა 10 წლის ანა ოდიშვილმა, რომელმაც სპორტის ოსტატის პროგრამით საკმაოდ რთული ვარჯიში შეასრულა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. ვაჟებში ტოლი არ ჰყავდა მსოფლიოს თასების გათამაშების მრავალგზის ფინალისტ თენგიზ კოშკაძეს, რომელმაც 15,7 სირთულის კოეფიციენტის პროგრამით აჯობა ყველას.

ახლა კი გაუწყებთ ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

**სპორტის ოსტატის პროგრამით. გოგონები.** 1. ანა ოდიშვილი, 2. თეონა ჯანჯღავა, 3. ნანა გოგაშვილი. **ვაჟები.** 1. თენგიზ კოშკაძე, 2. გიორგი ფუტკარაძე, 3. ზურაბ ნოზაძე.



**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები.** 1. ანა ოდიშვილი, 2. თამარ ბეიტრიშვილი, 3. ანა ღლონტი. **ვაჟები.** 1. ზურაბ ნოზაძე, 2. ლაშა გაბაშვილი, 3. ირაკლი ბეიტრიშვილი.

**პირველი თანრიგის პროგრამით. გოგონები.** 1. ნატა ჩადუნელი, 2. მარიამ მწითური, 3. ანანო ცერცვაძე. **ვაჟები.** 1. გიორგი ენუქიძე, 2. ნიკა ჯალაბაძე.

ნოემბერში სანქტ-პეტერბურგი ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირზე უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც იასპარეზებენ. ჩვენი მოწინავე სპორტსმენები სწორედ ამ ფორუმისთვის ემზადებიან.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულები და პრიზიორები.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

რაგბი

# „ლელოს" ისევ გააქვს ლელო

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა.** განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა „აკადემიისა" და „ლელოს" შეხვედრა. ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ" მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და 35:24 გაიმარჯვა.



**დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:** „ვისოლი ყოჩები" (თბილისი) – „ხარები" (რუსთავი) 19:3, „აია" (ქუთაისი) – „ბათუმი XV" 8:14, ხოლო „უნივერსიტეტისა" და „ლოკომოტივის" ორთაბრძოლა გადაიდო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 3 | 3 | 0 | 0 | +66 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | +6 | 6 |
| აკადემია | 5 | 3 | 0 | 2 | +1 | 6 |
| ბათუმი XV | 5 | 3 | 0 | 2 | -7 | 6 |
| ყოჩები | 3 | 2 | 0 | 1 | +14 | 4 |
| ხარები | 5 | 2 | 0 | 3 | -30 | 4 |
| უნივერსიტეტი | 3 | 0 | 0 | 3 | -43 | 0 |
| აია | 4 | 0 | 0 | 4 | -23 | 0 |

მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფალს" იმერეთმა უმასპინძლა

**ქუთაისში დამთავრდა ცნობილი რიონისპირელი მძლეოსნების ილია ჩირიკაშვილის, იური კოზელსკისა და რამაზ ქობულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქალაქის ღია პირველობა.**

შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის, 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: **100 მ. რბენაში** – ლიკა ლოლუა (ფოთი) და ენდრო ზილბერშტეინი (ახალციხე), **200 მ.** – თამარ გელეიშვილი და ბექა ჯიშკარიანი (ორივე – ქუთაისი), **400 მ.** – გაიანე უსტიანი და ენდრო ზილბერშტეინი (ორივე – ახალციხე), **800 მ.** – თამარ ხაჟალია (ქუთაისი) და ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე), **1500 მ.** – თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი) და გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე),



**400 მ. თარჯრბენი** – დავით მორჩიაშვილი (ქუთაისი), **სამხტომი** – ქრისტინე შალამბერიძე და ვახტანგ ჯინჭველეიშვილი (ორივე – ქუთაისი), **ბირთვი** – თათია ნაჭყებია (ფოთი) და გიგა გურაბანიძე (ხონი), **სიგრძეზე ხტომა** – ნანა კაშია და ვახტანგ ჯინჭველეიშვილი (ორივე – ქუთაისი).

# სასწავლებლად გიწვევთ თანამედროვე დონის კოლეჯი

**დრომ მოიტანა... სკოლადამთავრებული ახალგაზრდა დაფიქრებული, დაკვირვებული და ერთგვარად დაბნეულიც კია, ვაითუ სპეციალობის არჩევისას სწორი არჩევანი ვერ გააკეთოს. ამიტომ, აქ გონიერი მრჩეველია საჭირო, რომ ახალგაზრდის მიერ არჩეულმა დარგმა და იქ მიღებულმა ცოდნამ ღირსეული გაქანება ჰპოვოს მის ცხოვრებაში...**

**სწორედ ასეთი სასწავლებელია ზაზა ფანასკერტელის სახელობის სახელობო-სამედიცინო კოლეჯი, რომელსაც გააჩნია სწორედ სადღეისოდ გამოსადეგი სპეციალობები:**

**1. მედდის;**

**2. კბილის ტექნიკოსის;**

**3. ფარმაცევტის თანაშემწის;**

**4. სამკურნალო კოსმეტოლოგის და სამკურნალო მასაჟის;**

**5. ტურიზმის სპეციალისტის (აგენტი, ოპერატორი, გიდი) და სასტუმროს მენეჯერი (ინგლისური ენის შესწავლით)**

**6. მდივან-რეფერანტი და კომპიუტერული სისტემის ოპერატორი (ინგლისური ენის შესწავლით).**

**7. საბანკო საქმიანობის ბუღალტრულ მოანგარიშის.**

ყველა ეს დარგი დასაქმების დღევანდელ მოთხოვნებს ნამდვილად კარგად პასუხობს (აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი დიპლომირებული ექიმიც კი შემოდის ჩვენს კოლეჯში მედდის ან ფარმაცევტის სპეციალობებზე).

სწავლება აქ მიმდინარეობს ბოლონიის დეკლარაციის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც საწინდარია ევროპული დონის განათლების მიღებისა.

მთელი ოცი წლის განმავლობაში ამ კოლეჯმა შექმნა ძლიერი სასწავლო ბაზა, აითვისა უახლესი სასწავლო პროგრამები და მოიპოვა ის ავტორიტეტი, რომლის მეოხებით აბიტურიენტებს აქ უხდებათ შემოსვლა მხოლოდ კონკურსის წესით.

კოლეჯს სათავეში უდგას განათლების სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე პროფესორი გურამ ხაჭაპურიძე. პედაგოგიური კოლექტივიც ასევე გამოცდილი, კარგი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული, მათ შორის არიან მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები.

კოლეჯმა თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე აღზარდა 3.000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა 70 პროცენტი წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, 2007-2009 წლებში „ავერსის“ აფთიაქებში და „ავერსი-რაციონალის“ ფარმაცევტულ ქარხანაში 12 კურსდამთავრებული დასაქმდა, ხოლო თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს MRJ-ის განყოფილებაში დასაქმდა 20 კურსდამთვარებული მედდა. ცხადია, ყოველივე ეს განაპირობა სწავლების მაღალმა დონემ.

ზაზა ფანასკერტელის სახელობის სახელობო-სამედიცინო კოლეჯი მდებარეობს საქართველოს ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის შენობის I და II სართულებზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პრაქტიკული მეცადინეობების წარმატებით ჩატარებას ადგილზევე, ანუ ჰოსპიტალის თერაპიულ, ქირურგიულ, ნევროლოგიურ, უროლოგიურ და დერმატოლოგიურ განყოფილებებში. ასევე წარმატებით ხდება ორთოპედიული სტომატოლოგიის შესწავლა ამ კოლეჯის საკუთარი თანამედროვე დონის კლინიკურ ბაზაზე. მაღალ დონეზე არის აღჭურვილი კომპიუტერული სისტემის შემსწავლელი კაბინეტები, სადაც ფარმაცევტები ეუფლებიან აფთიაქებისათვის საჭირო კომპიუტერულ პროგრამას, ხოლო ტურიზმის სპეციალისტები, მდივან-რეფერანტები და ბანკის ოპერატორები კომპიუტერების დახმარებით ეუფლებიან ინგლისურ ენასაც და თვით კომპიუტერების ოპერატორების პროგრამას. ძირითადი სავალდებულო საგნების გარდა კოლეჯის რექტორის ინიციატივით და პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, დამატებით ისწავლება მედდებისა და ფარმაცევტებისათვის ახალი საგანი – „კლინიკური ფარმაკოლოგია“ (პედაგოგი ექიმი და ფარმაცევტი ნინო კოჭლამაზაშვილი), ხოლო მედდები ეუფლებიან „კლინიკურ პარაზიტოლოგიას“ (პედაგოგი, აკადემიკოსი ლემ ზირიძაშვილი). ასევე კოლეჯის რექტორის ინიციატივით ისწავლება საგანი „პატრიოტული აღზრდა“ (პედაგოგი დამსახურებული მასწავლებელი გურამ ცინცაძე). კოლეჯთან არსებული „საქართველოს ისტორიის მოყვარულთა საზოგადოება“ გამოირჩევა საინტერესო საქმიანობით: ამუშავებენ რეფერატებს, აწყობენ ექსკურსიებს, აწყობენ კონკურსს „ვინ უკეთ იცის საქართველოს ისტორია“, ასევე იწვევენ გამოჩენილ ადამიანებს, ისტორიკოსებს და მწერლებს. მათ გააკეთეს საინტერესო სტენდი, რომელიც მიეძღვნა ქრისტიანობისა და მამულისთვის თავდადებულებს, სადაც აღნიშნულია მათი ცხოვრება და მოღვაწეობა.

კოლეჯში სწავლის გადასახადი განისაზღვრება თვეში 120 ლარის ოდენობით, მაგრამ მიდგომა მოსწავლეებისადმი შერჩევითია მათი მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგალითად: რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ და მრავალშვილიან ოჯახის წევრებს ეძლევათ შეღავათი 30-50 პროცენტამდე.

სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს 11 ან 12 კლასდამთავრებულთათვის, ხოლო 9-კლასდამთავრებულთათვის კი საჭიროა 3 წელი. სწავლება მიმდინარეობს დილის ცვლაში, რადგან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მსურველებს მიეცეთ საშუალება მიიღონ მე-10, მე-11, მე-12 კლასის განათლება კოლეჯთან არსებულ საშუალო სკოლებში.

კოლეჯის კურსდამთავრებულებს მიეცემათ სახელმწიფო დიპლომი ან მისი ანალოგი – სახელმწიფო სერტიფიკატი, განათლების სამინისტროს კოდით და ნომრით.

**კოლეჯის მისამართია: თბილისი, შოთა იამანიძის (ყოფილი კოოპერაციის) ქუჩა №3 (ა. წერეთლის მეტროდან 10 წუთის სავალზე, ან მანქანებისათვის „დინამო“ სტადიონისა და მუშტაიდის ბაღს შორის გამავალ დავით ყიფიანის ქუჩით, ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის შენობამდე).**

**ტელეფონები: 35-63-61 და 8(99)97-40-84.**

**მერცია სახელაშვილი**

## განცხადება

### ჰიდროელექტროსადგური მტკვარი-ს მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვის შესახებ

**სს „კავკასუს ენერჯი ენდ ინფრასტრაქჩა“ აცხადებს ჰიდროელექტროსადგური მტკვარი-ს მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვას, რომელიც გაიმართება 2009 წლის 12 ივნისს, 13 საათზე, მისამართზე: ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18 (გამგეობის შენობა).**

ჰიდროელექტროსადგური მტკვარი-ს მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში, მდ. მტკვარზე 36-43 მგტ-იანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს შეუძლია გაეცნოს პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტს (პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე საინფორმაციო ბროშურას) შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის გამზირი 44, 0177 თბილისი, საქართველო ან ელექტრონულ მისამართზე: www.cei.ge.

სს „კავკასუს ენერჯი ენდ ინფრასტრაქჩა“ მზადაა მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლების შენიშვნები და მოსაზრებები, თუ ისინი 2009 წლის 10 ივნისამდე წერილობითი სახით იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ჰიდროელექტროსადგური მტკვარი-ს მშენებლობის პროექტის საჯარო განხილვაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 12 ივნისს, 11 საათზე, ქ. ახალციხეში, მისამართზე: ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18 (გამგეობის შენობა), დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

**სს „კავკასუს ენერჯი ენდ ინფრასტრაქჩა“**
**2009 წლის 2 ივნისი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ხსოვნა

# ერისკაცი



წესით, ახლა შენი დაბადებიდან 55-ე წლისთავის იუბილეს უნდა ვზეიმობდეთ, მაგრამ განგებამ, სამწუხაროდ, სხვაგვარად ინება და მარადლე სანთლებს ვანთებთ და ვლოცულობთ შენი სულის საცხოვნებლად... წარმოუდგენელია, მაგრამ უკვე ერთი წელი გასულა, რაც ზეციურ სასუფეველში ამაღლდი...

როგორც თავადვე ამბობ შენს ერთ-ერთ ლექსში („სიცოცხლე“), უზენაესმა მართლაც დაგანათლა „აზრი ნათელი, სული თბილი, გული კეთილი“, რისი ერთ-ერთი დასტურიცაა შენივე გასაოცარი სიტყვები: „კეთილი ადამიანები ციცინათელებს ჰგვანან. ერთად რომ შეიკრიბებოდნენ, ბნელეთი გაგვიკაშკაშდებოდა“...

შენ მიეკუთვნები ჭეშმარიტ მამულიშვილთა იმ თანავარსკვლავედს, რომელთათვის ნამდვილად იყო „საქართველო – უპირველეს ყოვლისა“ და, ალბათ, გარკვეული აზრით, ბედნიერი ხარ, რომ ვერ მოესწარი შენი სამშობლოს დღევანდელ ბედნავს მდგომარეობას...

ჩვენ ისღა გვანუგეშებს, რომ ჩვენი ქვეყნის სამომავლო აღდგომა-გაბრწყინების საფუძველში შენი – გიორგი სიხარულიძის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის, მამულიშვილური ღვაწლიცაა ჩაქვითკირებული...

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

ოჯახი, მეგობრები, ახლობლები, კოლეგები

---

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნეთა არაერთი თაობის აღმზრდელი, ღირსეული მოქალაქე, ნათელი პიროვნება, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით (დევი) კაციტაძე

საზოგადოება თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

გოგი ჟორჟოლიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების, გამოჩენილი მეცნიერის

დავით (დევი) კაციტაძის

გარდაცვალებას და გულითადად თანაუგრძნობს მის ოჯახს და ახლობლებს.

---

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი

დევი კაციტაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თემურ, რამაზ ხმალაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ძმის

გურამ ხმალაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 2 VI, 15 სთ. დ. აღმაშენებლის, 147.

---

ნუგზარ ქავთარაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება

გურამ ხმალაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მამიდაშვილები ნათელა და შოთა გამყრელიძეები, შვილებით აკაკი, მარინა და ხათუნა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი გიორგის ძე ნიქაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მიხეილ ქავთარია, გივი სანაძე, რიჩა გაგუა, ლევან დოლმაზაშვილი, ბესიკ ვეშაპიძე, თეიმურაზ დოიაშვილი, თენგიზ მდივანი, ჯენეტო ჭანტურაია, ტარიელ ლოლაძე, გუგულა ჯიმშელაძე, ნოდარ მიხაილოვი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ლუკას ძე ხუნდაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ინფორმაცია

### ოსეთში ტერაქტი აღკვეთეს

**ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავებმა რესპუბლიკაში არჩევნების ჩაშლისკენ მიმართული ორი ტერორისტული აქტი აღკვეთეს.**

**კოკოითის თქმით, აფეთქება ცხინვალის ცენტრში მდებარე ერთ ერთ საცხოვრებელ სახლში არჩევნების დღეს უნდა მომხდარიყო. მისივე ინფორმაციით, სამართალდამცავების მიერ ჩატარებული ღონისძიებების გამო ორივე აფეთქების თავიდან აცილება და დროული აღკვეთა მოხერხდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

შპს „ნაბეღლავი“ (ს/ნ 215 103064) აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ფოთი, მშვიდობის ქ. №4. ტელ: 899 350169.

### სულიერება

## საღმრთო ლიტურგია ბოდბეში

**საქართველოში წმინდა ნინოს შემოსვლის დღესასწაულთან დაკავშირებით ბოდბეში, წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საღმრთო ლიტურგია აღავლინა.**

წირვის შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს ქადაგებით მიმართა.

— მე და მამაჩემი ჩამოვედით აქ სალოცავად. შემოგვიყვანეს ღამე, რომ არავის არ დავენახეთ. აქ იყო მიწის სასუქი დაყრილი. ამიტომაც არის, რომ ფრესკები დაზიანებულია ქიმიური სასუქის გამო. მადლობა უფალს, რომ დღეს თავისუფლად ვასრულებთ წირვა-ლოცვას და წმინდა ნინოს ლოცვებით უფალი ისმენს ჩვენს ლოცვებს, — ბრძანა უწმინდესმა.



დღესასწაულთან დაკავშირებით დედათა მონასტერში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან უამრავი მომლოცველი ჩავიდა. მორწმუნეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონასტერში წმინდა ნინოს საფლავი მოელოცათ. ასევე, სულისა და ხორცის კურნებისთვის წმინდანის სახელობის წყალში განბანილიყვნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მისი განმანათლებლის ხსენებას წელიწადში ორჯერ აღნიშნავს. 27 იანვარს წმინდა ნინოს გარდაცვალების დღე აღინიშნება.

**ინტერპრესნიუსი**

### ინფორმაცია

## ნასვამი მამაკაცი თავის დახრჩობას ცდილობდა

**წუხელ, 30 წლის მამაკაცი მტკვარში დახრჩობას ცდილობდა. ის მდინარეში მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან გადახტა, თუმცა მაშველებმა გადაარჩინეს.**

**არსებული ინფორმაციით, შოთა გოჩიტაიშვილი ნასვამი იყო. მაშველებმა მისი წყლიდან ამოყვანა რამდენიმე წუთში მოახერხეს.**

**ექიმების განცხადებით, შოთა გოჩიტაიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

## ხანძარი რატევანის ქუჩაზე

**რატევანის ქუჩაზე ხანძრის შედეგად ზანგურიძეების ოჯახის სახლი დაიწვა. ზანგურიძეების სამსულიანი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა. ცეცხლის შედეგად წლისა და ათი თვის ბავშვმა ინტოქსიკაცია მიიღო.**

**ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მას შემდეგ, რაც მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა, კლინიკიდან რამდენიმე საათშივე გაწერეს.**

**ხანძარი ზანგურიძეების ბინაში, სავარაუდოდ, ელექტროსადენებისგან გაჩნდა. სახლი მთლიანად დაიწვა.**

**შემთხვევის ადგილზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებიც მივიდნენ, რომლებიც დაზარალებულებს დახმარებას დაჰპირდნენ.**

**ჰი-ენ-ბი-ენი**

### დაიჯესტი

## ასტროეგზოტიკა



**დაბადების თარიღით შეგიძლიათ გაიგოთ, პირამიდების ქვეყნის თუ რომელი ღმერთის ზეგავლენით ჩამოყალიბდა თქვენი ხასიათი.**

**ჰები**

**დაბადების პერიოდები:** 12-19 თებერვალი; 20-31 აგვისტო.

**ხასიათი:** ამ დროს დაბადებულებს მგრძნობიარე და გონიერი ბუნება აქვთ, მათზე კარგი მრჩევლის პოვნა ძნელი საქმეა. ამ ადამიანებს თანამოსაუბრის მოსმენის საუცხოო უნარი აქვთ, გარშემო მყოფთა პრობლემებს ტაქტიანად, გაგებითა და თანაგრძნობით, განუკიცხავად ეკიდებიან. ისინი საკუთარი თავის მიმართ ნაკლებად ნაცნობ ადამიანებსაც კი დადებითად განაწყობენ. ჰებს აჩქარება არ უყვარს, ამიტომ ზოგს შეიძლება ზანტი ეგონოს. მას „იღბლიანი ფეხი" აქვს, ხოლო სიყვარულში მგრძნობიარე, გამგებ და ენერგიულ პარტნიორს ეძებს.

## როზგი გასწი, მასწ!

**ნეტავ თუ ეცნაურებათ დღევანდელ სკოლის მოსწავლეებს ეს სურათი, რომელზეც პირველკლასელები საცრისოდენა თვალებით შესცქერიან ხელში როზგით მდგარ მასწავლებელს?** დიდად საეჭვოა, რადგან სადღეისოდ ჩვენში



განათლების „რეფორმამ" ცელქი მოწაფეების გაროზგვის „სიმაღლეს" ჯერჯერობით ვერ მიაღწია, ამ „მწვერვალის" დაპყრობა განათლების ეროვნულ „რეფორმატორებს", უკვე განხორციელებულ თუ მომავალში განსახორციელებელ „სიკეთეებთან" ერთად სამომავლო გეგმაში თუ აქვთ. თუმცა საეჭვოა: ახლა პატარები „ქუჩისებურად" ისე შემზადებულები, იმდენად გათვითცნობიერებულნი არიან, რომ როზგის ხმარების შემთხვევაში დაზარალებული, ღმერთმა დაიფაროს და ადვილი შესაძლებელია, თავად მასწავლებელი აღმოჩნდეს.

## ჯოისის დუბლინი



**წლეულს თებერვალში XX საუკუნის უდიდესი ირლანდიელი მწერლის ჯეიმს ჯოისის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. მისი წიგნები, ნაშრომები და სტატიები მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა ენაზეა გადათარგმნილი, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ყოველწლიურად უამრავი გამოკვლევა ქვეყნდება.** რამდენიმე წლის წინათ, მწერლის სამშობლოში ვრცელი მონოგრაფია „ჯეიმს ჯოისის დუბლინი" გამოვიდა, რომელიც იმ ქალაქის შესახებ მოგვითხრობს, სადაც მრავალი მისი ნაშრომის მოქმედება ვითარდება. დუბლინის ყურის ნაპირზე გოდოლ მარტელოში, რომელიც „ულისეს" (1922 წ.ძ პირველ ეპიზოდშია აღწერილი, ცოტა ხნის წინათ მწერლის მემორიალური მუზეუმი გახსნეს. მასში არ არის მრავალი ექსპონატი — ესენია მხოლოდ ჯოისის ჰალსტუხი, მისი გიტარა, ჟილეტი, საყვარელი წიგნები. ზოგიერთი ხელნაწერი მუზეუმს სამუელ ბეკეტმა, ეგრეთ წოდებული აბსურდის თეატრის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა გადასცა, რომელიც „ულისეს" ავტორის ლიტერატურული აგენტი იყო. მუზეუმის კედელზე კი ჯეიმს ჯოის სიკვდილის შემდეგ აღებული ნიღაბია.



## როცა როლები იცვლება



**გერმანელი ზოოლოგი ჰანს კლინგელი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე აფრიკაში ზებრების ცხოვრებას აკვირდებოდა, ამ ცხოველთა ლომებთან ბრძოლის ერთობ საგულისხმო ხერხს აღწერს.** თურმე, ზებრების ჯოგი თამამად უტევს ლომებს, მას საკუთარი თვალით უნახავს, თუ როგორი ჟინებით მისდევდნენ ისინი ცხოველთა მარტოხელა მეფეს. როცა ისინი მას დაეწევიან, წრეში მოაქცევენ ხოლმე. ლომი იძულებული ხდება ძალას დაემორჩილოს და იქით ირბინოს, საითაც ჯოგი მიმართავს. ბოლოს კი, როცა ლომს ძალა ელევა, ზებრები მას ფლოქვებით თელავენ.



## რამდენი წლის ბრძანდებით, მისის ნესი?

**„მაშინ, როცა 1934 წლის აპრილის ერთ მშვენიერ დილას ბრიტანელმა ქირურგმა, ნესი თავისი ავტომანქანიდან დაინახა, იგი არ დაიბნა და მაშინვე ფოტოაპარატი მოიმარჯვა. რამდენიმე დღის შემდეგ ფოტო გაზეთმა „დეილი მეილმა" გამოაქვეყნა, თუმცა ავტორის გვარი მითითებული არ იყო: დასტაქარმა ინკოგნიტოს შენარჩუნება ამჯობინა".**



1934



1966

ჩვენ შევძელით იმ ისტორიული ფოტოს მიგნება და, ვფიქრობთ, რომ მისი ნახვა ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. აქვე ვაქვეყნებთ 1966 წელს გადაღებულ მისტერ კოლდუელის მიერ გადაღებულ ფოტოს. დაგვეთანხმდებით, რომ 30 წელზე მეტი ხნის ფოტოებს შორის განსხვავება მაინცდამაინც დიდი არ არის.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ვისკის მწარმოებელმა ერთმა ინგლისურმა ფირმამ ლოხ-ნესის ურჩხულის დაჭერაში, რომელსაც მთელი მსოფლიო ნესის სახელით იცნობს, მილიონი გირვანქა სტერლინგი ჯილდო დანიშნა, თუმცა, როგორც ვიცით, ის ფული დღესაც პატრონს ელოდება.

**უცხოური პრესის მიხედვით**

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"**
**98-65-87; 899 32-85-76.**

### ანეკდოტები

— მიხო, შენი დღიური კუთხეში რად აგიყუდებია? — ეკითხება დედა.

— ორიანებისთვის დავსაჯე.

* * *

ფული არარაობაა. განსაკუთრებით იმდენი ფული, რამდენიც მე მაქვს.

* * *

ყოველი მამაკაცის ცხოვრებაში არის ორი მომენტი, როდესაც მას არ შეუძლია ქალის გაგება: პირველი — ქორწინებამდე, მეორე — ქორწინების შემდეგ.

* * *

დაბალ კლასებში ბიჭები გოგოებს თავში სულ ჩანთებს უხათქუნებენ, მერე კი, დიდობაში, უკვირთ, თითქმის ყველა ლამაზი გოგო რატომ არის სულელი.



* * *

ტიპი ქუჩაში უზარმაზარ დოგს ასეირნებს. უცებ ძაღლმა აიწყვიტა, ქუჩაში მიმავალ გოგოს მივარდა და კაბა დრუნჩით აუწია.

— რას აკეთებს? — ეკითხება გაკვირვებულ-შეშინებული გოგო ძაღლის პატრონს.

— ალბათ სუნს გრძნობს კაბის ქვეშ.

— მერე თქვენ რას დგახართ?

— მე არ მცემს სუნი!!!

* * *

დღეს მსოფლიოში ბევრად მეტი ფული იხარჯება მკერდის გადიდებისა და ვიაგრისთვის, ვიდრე, მაგალითად, ალცჰეიმერის დაავადების გამოსაკვლევად. ეს ნიშნავს, რომ სადღაც 2040 წლისთვის მსოფლიოში იქნება ბევრი ხანდაზმული ადამიანი მკვრივი მკერდითა და კარგი ერექციით, მაგრამ რომლებსაც არ ეხსომებათ, რაში და რისთვის შეიძლება მათი გამოყენება.

### კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.